პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981
წელი
შაბათი
12
სექტემბერი
№ 211
(18153)
ფასი
2 კაპ.

აღვზარდოთ მუშათა ცვლა

ახლა უკვე აღარავის უკვირს ის ამბავი, რომ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ჩარიცხვაზე კონკურსია; რომ წელს ჩვენი რესპუბლიკის პროფტექსასწავლებლებში ჭაბუკებისა და ქალიშვილების თითქმის მესამედი კონკურსის წესით მიიღეს.

წლითიწლობით უმჯობესდება ამ სისტემის სასწავლებელთა კონტინგენტი. სულ უფრო და უფრო მეტი ფრიადოსანი აღებს პროფტექნიკური სასწავლებლის კარს. იშვიათი აღარ არის იმის მაგალითიც, როცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მერვე კლასი უკლებლივ გადადის პროფტექსასწავლებელში. წელს ამ სასწავლებლებში 24 ასეთი კლასი ჩაირიცხა, აქედან ხუთი, რაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, თბილისის, ფოთის, ქუთაისის სკოლებიდან.

ყველა ეს ფაქტი იმის თვალნათლივი დასტურია, რომ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაიზარდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ავტორიტეტი. როგორც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ითქვა, გასული ათწლეული ამ სისტემისათვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მისი ფორმირების პერიოდი იყო. ეს გახლდათ სისტემის ჩამოყალიბების, ავტორიტეტისა და პრესტიჟის მოპოვების წლები.

მეათე ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სისტემას 58 ახალი სასწავლებელი შეემატა, სახალხო მეურნეობას მოუმზადდა 140 ათასი ახალგაზრდა მუშა. დღეს წარმოებაში მოსული ყოველი მეორე მუშა პროფტექნიკური სასწავლებლის აღზრდილია. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა რესპუბლიკის მუშათა კლასის შევსების ძირითად წყაროდ იქცა.

ამ ხუთწლედში ჩვენი პროფტექსასწავლებლები 250 ათას მოსწავლეს მიიღებენ, საბჭოთა საქართველოს მრავალდარგოვანი მეურნეობა კი — ორასი ათასამდე კვალიფიციურ მუშას. აქედან 80 ათასს — მრეწველობა, 60 ათასს — სოფლის მეურნეობა, 30 ათასს — მშენებლობა.

მეთერთმეტე ხუთწლედში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის საჭიროებებს 80 მილიონი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება გამოეყოფა, ორჯერ მეტი, ვიდრე მეათე ხუთწლედში. საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს ოცდაათი თანამედროვე სასწავლო კომპლექსი, აღჭურვილი უახლესი მოწყობილობით, მტკიცე სასწავლო-მატერიალური ბაზით. რესპუბლიკის მშენებლებმა ხელი უნდა გამოილონ და უზრუნველყონ ამ ობიექტების დროული და ხარისხიანი ჩაბარება.

რაოდენობრივი ზრდა მხოლოდ მაშინ არის მისასალმებელი, როცა მას ხარისხობრივი, თვისებრივი ზრდაც ახლავს. რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პარტიისა და მთავრობის დიდი მზრუნველობის მეოხებით, პარტიული კომიტეტების, საბაზო სამინისტროების, სხვადასხვა უწყების, გაერთიანებისა და საწარმოს ხელშეწყობით, უკანასკნელ წლებში მათ მნიშვნელოვნად აამაღლეს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხი და ეფექტიანობა, განამტკიცეს მატერიალური და სასწავლო-საწარმოო ბაზა. მაგრამ ამ თვალსაზრისით სამუშაო ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. დღევანდელი ყველა სასწავლებელი თანამედროვე, კარგად აღჭურვილი სასწავლო კომპლექსი უნდა იყოს, სადაც ყოველგვარი პირობა იქნება შექმნილი იმისათვის, რომ, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა, მომზადდეს ახალი ტიპის წარმოების მუშა, ფართო პროფესიული თვალსაწიერითა და ოსტატობით, მუშა, რომელიც ჰარმონიულად შეახამებს ფიზიკურ და გონებრივ შრომას, ზედმიწევნით ეცოდინება თანამედროვე წარმოების პოლიტექნიკური საფუძვლები, შეძლებს უმალ დაეუფლოს უახლეს მანქანებსა და ტექნოლოგიურ პროცესებს.

მომავალი მუშის მომზადებაში ნამდვილად ფასდაუდებელია მის მოძღვართა — მასწავლებლის, ოსტატის, დამრიგებლის როლი. მათ უნდა შეაყვარონ ყმაწვილს წარმოება, აზიარონ ოსტატობას, შემოქმედებითს შრომას.

ახლა სულ უფრო მეტ ენთუზიასტს, თავისი საქმის ჩინებულად მცოდნე სპეციალისტს იზიდავს პროფტექნიკური განათლების დარგი. 4 სოციალისტური შრომის გმირი, 200 ორდენოსანი, 74 საწარმოო სწავლების დამსახურებული ოსტატი, 12 დამსახურებული პედაგოგი მოღვაწეობს დღეს ამ სისტემაში.

ამას წინათ თბილისის № 6 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სამუშაოდ გადავიდა საწარმოო გაერთიანების „ჩარხმშენებლის“ ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი შოთა ფირცხალავა. მას სურს საწარმო სწავლების ოსტატად იმუშაოს იმ სასწავლებელში, რომელმაც 1945 წელს მას ცხოვრების საგზური მისცა.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას დღეს ბევრი მეგობარი და თანამდგომი ჰყავს. რამდენიმე ხნის წინათ მისი სასწავლებლები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრებმა დაათვალიერეს. შემდეგ აკადემიის მესვეურნი სასწავლებლების დირექტორებსა და პროფტექნიკური განათლების რესპუბლიკური კომიტეტის ხელმძღვანელებს შეხვდნენ. აზრთა გაზიარებამ ბევრი სასიკეთო ღონისძიება შვა. ამიერიდან მეცნიერები პროფტექსასწავლებლების შეფები იქნებიან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იზრუნებენ სასწავლო პროცესის ეფექტიანობისათვის, პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისათვის, შეარჩევენ კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტულ ბაზებში სამუშაოდ.

მოზარდთა პროფესიული ორიენტაცია, განსაკუთრებით კი მუშათა პროფესიებზე ორიენტაცია დღეს ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავად უნდა გაიხადონ სახალხო განათლების მუშაკებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ.

პროფტექნიკური განათლებისაკენ საზოგადოებრივი აზრის მკვეთრი და სასიკეთო შემობრუნება, რომელსაც დღეს ასე თვალნათლივ ვხედავთ, თვითონ ცხოვრებამ განაპირობა. ამ ტენდენციას გაფრთხილება და გაღრმავება უნდა. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს, სარედაქციო ფოსტაში მოზღვავდებოდა ხოლმე მშობლების წერილები— არიქა, დაგვიხსენით, ჩვენი შვილი პროფტექნიკურ სასწავლებელში გადაჰყავთო. უნდა ითქვას, რომ ამას თვითონ სკოლის ზოგიერთი ვაი-პედაგოგი უწყობდა ხელს: გაკვეთილის არმცოდნესა თუ დისციპლინის დამრღვევს პროფტექნიკუმში გადაყვანით ემუქრებოდა. ეს მავნე პრაქტიკა კარგა ხანია საჯაროდ დაგმობილია, მაგრამ სამწუხარო რეციდივები დროდადრო ახლაც იჩენს ხოლმე თავს. ამგვარ გამოვლინებებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ახალი სასწავლო წელი სულ ახლახან დაიწყო. რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის დიდი პედაგოგიური კოლექტივი — 2544 მასწავლებელი და 3200 საწარმოო სწავლების ოსტატი საქმეს შეუდგა — დიდად პასუხსაგებსა და მამულიშვილურ საქმეს. იმ სასწავლებლებში, სადაც პედაგოგები ერთიანი მისწრაფებით არიან შეკავშირებული, სადაც ჯანსაღი და საქმიანი ატმოსფერო სუფევს, ცხადია, მიზანსაც ადვილად აღწევენ. პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას ბევრი ასეთი კოლექტივი ჰყავს. მაგალითისთვის თბილისის № 11, 18, 23, 36, 71, ბათუმის № 44, 76, ფოთის № 12, ქუთაისის № 37, გორის № 39 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებიც კმარა.

მაგრამ, აბა, რომელ აღზრდაზე შეიძლება ლაპარაკი იმ დაწესებულებებში, სადაც თვითონ პედაგოგებს ვერ დაუმყარებიათ ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა, სადაც კოლექტივი გათიშულია, არის განუწყვეტელი კინკლაობა, დაჯგუფებები. პროფესიულ-ტექნიკური განათლების რესპუბლიკურმა კომიტეტმა ამ მიზეზით სამსახურიდან გაათავისუფლა ბოგდანოვკის № 184 სასწავლებლის დირექტორი, მოადგილე და საწარმოო სწავლების უფროსი ოსტატი. სახელმწიფო დისციპლინისა და პედაგოგიური ეთიკის დარღვევისათვის გასულ სასწავლო წელს კომიტეტის მიერ თანამდებობიდან განთავისუფლებულია ამ სისტემის 18 ნომენკლატურული მუშაკი, აქედან 4 — სასწავლებლის დირექტორი. პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა კვლავაც შეურიგებელი ბრძოლა უნდა აწარმოოს ამგვარ შეუწყნარებელ გამოვლინებებთან.

საკითხები, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა წინაშე რომ დგას, რთულია და მრავალგვარი. მათი გადაწყვეტა მხოლოდ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ერთიანი, მიზანსწრაფული მოქმედებით შეიძლება.

აღვზარდოთ მუშათა მომავალი ცვლა! აღვზარდოთ რწმენითა და სიმართლით, მამათა გმირული და შრომითი ტრადიციების ერთგულებით — ასეთია ამოცანა!

საქმემ გამოარჩინა

წითელი დროშა—მანგანუმის მომპოვებლებს

მეორე კვარტალის შედეგებით ჭიათურის ვ. ი. ლენინის სახელობის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის კოლექტივმა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. მაღაროელებმა ამოიღეს 8500 ტონა მანგანუმის კონცენტრატი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს აღწევს წარჩინებული მაღაროელი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი გრიგოლ ტყემალაძე, რომელმაც უკვე მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში დაიწყო მუშაობა.

სურათზე: გ. ტყემალაძე ახალგაზრდა მაღაროელებთან.

ა. მაჭავარიანის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გარჯის ბარაქა

ჩხოროწყუ

სექტემბრის დამდეგს 9 თვის გეგმები გადამეტებით შეასრულეს ჩხოროწყუელმა ფერმის მუშაკებმა, რომლებიც ჩაბმული არიან მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ საგეგმო 750 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 768 ტონა ხორცი. რძის დამზადების გეგმას გადაამეტეს 60 ტონით, კვერცხისას — 390 ათასი ცალით.

განსაკუთრებით ისახელეს თავი კირცხის კოლმეურნეობა-კომპლექსის, ლესიჭინის კიროვის, ხაბუმეს ლენინის სახელობისა და ქვედა ჩხოროწყუს კოლმეურნეობებმა.

ეს რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ქაჯაიამ.

გულრიფში

საქართველოს კომპარტიის გულრიფშის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ნაჭყებიამ გვაცნობა:

შრომის სანიმუშო ორგანიზაციის, მინდვრის მშრომელებისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნის წყალობით, მიუხედავად უამინდობისა, რაიონის მეჩაიეებმა წარმატება მოიპოვეს. დღეისათვის მოკრეფილია 2518 ტონა ჩაის ფოთოლი, წლიური საგეგმო დავალებით გათვალისწინებული 2480 ტონის ნაცვლად, შარშან ამ დროისათვის 92 ტონით მეტი. მოკრეფილი ფოთლის 77 პროცენტი პირველი ხარისხისაა, რაც შარშანდელ მაჩვენებელს 4 პროცენტით აღემატება.

აღსანიშნავია მექანიზატორთა წარმატება, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს მობილური და ხელის მანქანებით ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება..

რაიონის მეჩაიეებმა გადაწყვიტეს სეზონის ბოლომდე მოკრიფონ 250 ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეული.

აღორძინებული ჭერემი

სულ ორი-სამი წლის წინათ ეს ძნელი დასაჯერებელი იყო. დღეს კი, ოდესღაც მიყრუებულ მთის სოფელ ჭერემში 64 ოჯახი ცხოვრობს. 195 კაცი, მათ შორის ბავშვები, დამკვიდრდა აქ. ეს ციფრიც არ არის მთლად ზუსტი — აქ მეტი ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ჭერემელებს თანასოფლელებად მიაჩნიათ მხოლოდ ისინი, ვინც აქ დაიზამთრა.

ჩვენი მთები უდიდეს შესაძლებლობებს, აურაცხელ სიმდიდრეს ინახავს. უკეთილშობილესი ამოცანაა ჩავაყენოთ ისინი ხალხის სამსახურში, მოვაქციოთ სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში. ამიტომ იმ ჭერემელებს, რომლებმაც მშობლიურ სოფელში დაბრუნება მოისურვეს, სახელმწიფო ყოველნაირად უმართავს ხელს, აძლევს გრძელვადიან სესხებს, საშენ მასალას, აწვდის ტექნიკას. აქ გაყვანილია საავტომობილო გზა, დაჩქარებული ტემპით იგება დიდი ადმინისტრაციული შენობა, რომელშიც მოთავსდება სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობის გამგეობა, მაღაზია და კლუბი, საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი და სასადილო.

სულ ახლახან მწყობრში ჩადგა ორსართულიანი საშუალო სკოლა, რომელშიც რამდენიმე ათეული ჭერემელი ბავშვი სწავლობს. და თუმცა სადღეისოდ გამოსაშვებ კლასში ექვსიოდე მოსწავლეა, სოფლის განვითარების ტენდენცია ისეთია, რომ მალე, როგორც ჩანს, სკოლა ვერც კი დაიტევს ყველა მოსწავლეს.

განვითარების ტენდენცია... იგი მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწორად წარიმართება მთიელთა „უკუმიგრაციის“ პროცესი, როგორი ორგანიზატორული და განმარტებითი მუშაობა ჩატარდება, როგორი პირობები შეექმნებათ ადგილებზე იმათ, ვინც საცხოვრებლად დაუბრუნდა წინაპართა სამკვიდრებელს.

დღეს ჭერემში ვერ ნახავთ ოჯახს, რომელსაც არ ჰყავდეს პირუტყვი, შინაური ფრინველი, რომელსაც არ შეჰქონდეს წვლილი საერთო-სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში. ადგილობრივი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თენგიზ ჯაჭვაძემ ასეთი ციფრები დაგვისახელა: 300-ზე მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 5 ათასამდე ქათამი და ინდაური, 300-ზე მეტი თხა და ღორი. მარტო ნიკო ჯაჭვაძემ სახელმწიფოს 4 ტონა ხორცი მიჰყიდა.

400 ჰექტარზე მეტი ნაყოფიერი მიწა უკვე მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში. შეიქმნა ყველა პირობა, რათა უზრუნველვყოთ დიდი საზოგადოებრივი ჯოგის მოვლა. უახლოეს მომავალში საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის გაერთიანება გამოგვცემს 700 სულისათვის გათვალისწინებულ კამეჩის ფერმას.

მაგრამ, როგორც იტყვიან, არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი. მიწის სამუშაოების დროს მშენებლები ძველთაძველ სამარხებს წააწყდნენ. მოიწვიეს არქეოლოგები, რომლებმაც დაადგინეს: თავისი ტიპითა და აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით სამარხები ჩვენი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებს განეკუთვნება. ეს მოწმობს, რომ ჭერემი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ადგილია, სადაც მკვიდრად ცხოვრობდნენ ადამიანები. მაგრამ არქეოლოგებიც კი დაიბნენ, როცა სოფლისაგან რამდენიმე კილომეტრზე იპოვეს მანამდე უცნობი რომელიღაც ნაქალაქარი. იგი მაღალ, ხეობებზე გაბატონებულ მთაზე მდებარეობდა, მისი გალავნის წყობამ, ნაგებობების დაგეგმარებამ, კათედრალურმა ტაძარმა და ვეება ცენტრალურმა მოედანმა მეცნიერებს გამოატანინა დასკვნა, რომ აქ ვახტანგ გორგასლის ციხე-ქალაქი იყო. თავისი სიდიდით მას ბადალი არა ჰყავს [illegible] საქართველოში...

რამდენ საიდუმლოსა და გამოცანას ინახავს აღორძინებული სოფლის, ჭერემის მიწა!

დღეს სოფელი ინტენსიურად შენდება. უკვე აიგო 60-ზე მეტი კაპიტალური სახლი, ჩნდება ახალი სამშენებლო მოედნები. სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება მომავლის ნიშნები.

ამ დღეებში ჭერემში იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. მას ახლდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი. მათ დაათვალიერეს სოფელი, მისი ახალმშენებლობანი, არქეოლოგიური გათხრები, ესაუბრნენ მცხოვრებლებს. მშრომელებმა დიდი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას დაუცხრომელი ზრუნვისათვის, რასაც საუკეთესოდ ადასტურებს ყოფილი მთიელების მისწრაფება კვლავ დამკვიდრდნენ მიტოვებულ კერაზე.

ჭერემელებმა გამოთქვეს შრომის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის გამიზნული წინადადებები.

რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა დადებითად შეაფასეს ჭერემში გაწეული მუშაობა, მის მცხოვრებლებს უსურვეს წარმატებები შრომასა და ცხოვრებაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის კომუნისტური პარტია და მთავრობა არასოდეს მოაკლებენ ყურადღებას ჭერემის, ისევე როგორც მაღალი მთის სხვა აღორძინებული სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მუშაობის შემდგომი სრულყოფის საკითხებს. (საქინფორმი).

ჩეხოსლოვაკიის გამოფენა თბილისში

ჩეხოსლოვაკიის თანამედროვე სოფლის მეურნეობა ეკონომიკის მაღალგანვითარებული დარგია. დღეს ამ დარგში შრომობს ცხრაას ათასზე მეტი კაცი, რომელთაგან თითოეული საკუთარი თავის გარდა სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფს 15 სხვა თანამოქალაქეს და ეს მაშინ, როდესაც რესპუბლიკის ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით სახნავი შეადგენს 0,3 ჰექტარს — ყველაზე დაბალ მაჩვენებელს ევროპაში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის, კაპიტალური მშენებლობის მაღალი დონე. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობამ აწარმოვა მანქანა-იარაღების კომპლექსები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდა მარცვლეულის მოსავლის აღების მექანიზება ასი პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 90 და კარტოფილისა—70 პროცენტით. პრაქტიკულად სოფლის მეურნეობის ყველა დარგში გაჩნდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ნაგებობანი.

1 სექტემბერს თბილისში, „დინამოს“ დილმის სპორტული ბაზის ტერიტორიაზე გაიხსნა გამოფენა „ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პროგრესული სასოფლო-სამეურნეო ნაგებობანი“. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ნაგებობის, მეცხოველეობის ფერმებისა და კომპლექსების, ბეღლების, ქიმიკატების, სასუქის შესანახი სათავსების პროექტების ფოტოპირები, მაკეტები, კონსტრუქციათა ფრაგმენტები, საშენი მასალა, თხევადი ბეტონის გადასაზიდი მანქანები, სხვა ექსპონატები.

გამოფენა გახსნა საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ოყროშიძემ.

გამოფენის გახსნაზე გამოსვლისას ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშენებლობისა და ტექნიკის მინისტრმა ფ. შრამეკმა — გამოფენის გახსნაზე ჩამოსული ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა, თქვა, რომ გამოფენა სსრ კავშირში პირველად ეწყობა და მისი მიზანია სასოფლო-სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობის დარგში მუშაობის გამოცდილების გაზიარება საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელ სპეციალისტებს შორის.

იმედი გვაქვს, ხაზი გაუსვა მინისტრმა, რომ კონტაქტები, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს შორის არსებობს, კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება ორი სოციალისტური ქვეყნის მეგობრობისა და ეკონომიკის განმტკიცების საკეთილდღეოდ.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრმა ი. ხარატიშვილმა მადლობა მოახსენა სტუმრებს იმისათვის, რომ გვაცნობენ ჩეხოსლოვაკიის წარმატებებს სოფლად სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში, და გამოთქვა იმედი, რომ ქართველი სპეციალისტები ბევრ სასარგებლოს შეიძენენ. ჩვენი მხრივ, აღნიშნა მინისტრმა, მოხარული ვიქნებით გავაცნოთ ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს ჩვენი მიღწევები.

ამავე დღეს გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა „ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პროგრესულ სასოფლო-სამეურნეო ნაგებობათა“ გამოფენის გახსნას. პრესკონფერენციაზე გამოვიდნენ გამოფენის დირექტორი ლ. ლიბალი, ინსტიტუტ „აგროპროექტ-პრაღის“ დირექტორი ი. ტაბორსკი, რომლებმაც ილაპარაკეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიის, გამოფენის ექსპონატების შესახებ.

პირველ დღეს გამოფენას ესტუმრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. გამოფენა დაათვალიერეს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა გ. ა. ანდრონიკაშვილმა და ჯ. ი. პატიაშვილმა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. რ. პაპუნიძემ, სომხეთის სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრმა გ. ა. თათევოსიანმა.

გამოფენა 20 სექტემბრამდე გასტანს. ამ დროის მანძილზე ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტები გამართავენ ლექციებსა და საუბრებს სოფლად მშენებლობის აქტუალური პრობლემების შესახებ.

(საქინფორმი).

უხეში საკვების დამზადების მიმდინარეობა

(ტონობით)

რაიონები	გეგმა	დამზადებულია	გეგმის შესრულების %
ახალქალაქის	80000	67757	84
ბოგდანოვკის	89000	51831	58
ახალციხის	24000	26770	111
ადიგენის	20500	19809	96
ასპინძის	12500	13348	106
ხაშურის	25000	30810	123
ქარელის	24000	24913	103
გორის	42000	40889	97
კასპის	23000	20205	87
ბორჯომის	28000	19303	68
საგარეჯოს	45000	44522	98
გურჯაანის	42500	39953	94
სიღნაღის	64000	62525	97
წითელწყაროს	80000	66546	83
თელავის	17500	18217	104
ახმეტის	27500	27604	100
ყვარლის	12000	17275	143
ლაგოდეხის	21500	27934	129
გარდაბნის	85500	87446	102
მცხეთის	21500	21384	99
მარნეულის	46000	45121	98
ბოლნისის	32000	36075	112
წალკის	67000	35009	52
დუშეთის	30000	15889	52
თეთრი წყაროს	52000	47802	91
დმანისის	49000	27266	55
თიანეთის	20000	18682	93
ყაზბეგის	11000	9150	83
სამხრეთ ოსეთის	77500	64745	83
წყალტუბოს ზონა	11500	7177	62
სამტრედიის	16000	9728	60
წულუკიძის	7000	5043	72
ვანის	6000	5257	87
მაიაკოვსკის	5500	4531	82
ზესტაფონის	6500	5439	83
თერჯოლის	8500	7815	91
ჭიათურის ზონა	6500	5109	78
საჩხერის	12500	13040	104
ორჯონიკიძის	4500	2248	49
ტყიბულის ზონა	5000	3470	69
ონის	19000	13182	69
ამბროლაურის	11000	7392	67
ცაგერის	7500	4319	57
ლენტეხის	13000	11405	87
აბაშის	22000	8619	39
ცხაკაიას	13500	6754	50
გეგეჭკორის	13000	7971	61
ზუგდიდის	20500	11516	56
ხობის	19500	8798	45
წალენჯიხის	6000	3334	55
ჩხოროწყუს	10500	8454	80
მახარაძის	12000	11103	92
ლანჩხუთის	19000	3632	19
ჩოხატაურის	4000	2007	50
მესტიის	17500	9446	53
აფხაზეთის ასსრ	57000	32997	57
აჭარის ასსრ	31000	21862	70
სულ საქართველოს სსრ-ში	1555000	1270488	81

მაღალი ხარისხის საქონელი—ხალხს

„ამ ბარათს ყაზახეთის აშჩისაისკის რაიონის მეთამბაქოეობის საბჭოთა მეურნეობიდან გიგზავნით. ჩვენს მაღაზიაში შემთხვევით წავაწყდით შესანიშნავი ხარისხის სწორედ ისეთ თოხებს, როგორიც ჩვენ ჰაერივით გვჭირდება. მთლიანად შევისყიდეთ დახლზე დაწყობილი 200 ცალი თოხი, მაგრამ არც ისინი აღმოჩნდა საკმარისი. მზად ვართ შევიძინოთ სამჯერ-ოთხჯერ მეტი, მაგრამ, ვაი, რომ ბაზაშიც ვერ გვიშველეს — გათავებულაო. გთხოვთ, კი არა გთხოვთ, გემუდარებით, თუ ეს საწარმოს ძალას არ აღემატება, დაგვეხმაროთ თქვენი პროდუქციის შეძენაში. თუ დადებითს პასუხს მივიღებთ, ფულს დაუყოვნებლივ გადმოგირიცხავთ“.

ასეთი შინაარსის წერილი ხაშურის რაისამრეწველო კომბინატის დირექციამ ახლახან ყაზახეთის სხვა მეთამბაქოეობის მეურნეობიდანაც მიიღო. მოძმე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თხოვნა ხაშურელებმა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილეს და არავის ეგონოს, რომ მათ მარტო ამ შეკვეთის შესრულებაზე გადაიტანეს მთელი ყურადღება. არა, ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ თოხების, წალდების, თუნუქის ღუმელებისა და სხვა იმ სახალხო მოხმარების საგნების წარმოება, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა, სათანადო დონეზეა ორგანიზებული. მიმდინარე წლის რვა თვეში აქ გეგმით გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად მეტი სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელი საქონელი დაამზადეს და მისი რეალიზაციით გააუმჯობესეს საწარმოს მდგომარეობა.

ამ ცოტა ხნის წინათ კომბინატში აითვისეს ქართული ტიპის ნაჯახი, რომელსაც მომხმარებელთა დიდი მოწონება ხვდა წილად. დიახ, სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე მოთხოვნა იზრდება, და ეს გასაგებია. მიწის ნაკვეთებს, რომლებიც კოლექტიური სარგებლობისათვის ათიათასობით ქალაქელი მუშა-მოსამსახურის „სამფლობელო“ გახდა, ცარიელა ხელით ვერ დაამუშავებ. მას თოხი, ბარი და სხვა ინვენტარი ესაჭიროება. ჰოდა, კარგია, რომ ზემოხსენებული კომბინატის ხელმძღვანელებმა ამ საქმეს თავიდანვე აუღეს ალღო: საწარმოც მოგებულია და მომხმარებელიც.

— საყოფაცხოვრებო საქონლის გამოშვებისა და მისი ასორტიმენტის შეუნელებელი ზრდა გახლავთ ჩვენი საწარმოს არსებობის მიზანი, — გვითხრა კომბინატის დირექტორმა გ. თიკანაშვილმა. წლეულს, მაგალითად, 35 ათას ცალზე მეტი თოხი უნდა დავამზადოთ, მაგრამ შევძლებდით მომხმარებლისათვის მეტიც მიგვეწოდებინა. საამისოდ დროულად უნდა იზრუნონ სავაჭრო ორგანიზაციებმა და უპირველესად ცეკავშირმა, — მთავარმა შემკვეთმა. ხდება ისე, რომ მაღაზიაში საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს ვერ შოულობენ, და ეს მაშინ, როცა ეს საგნები რომელიმე ბაზაში დღის სინათლეს ელოდება. ვიდრე საწარმოს ამა თუ იმ საქონელზე განაცხადს გავუგზავნიდეთ, მათზე მოთხოვნა კარგად უნდა შევისწავლოთ. ეს თავიდან აგვაცილებს შეფერხებებს მოსახლეობის აუცილებელი ფართო მოხმარების საქონლით მომარაგებაში.

მომხმარებელთა სურვილის გათვალისწინებით

ცხადია, კომბინატის კოლექტივის მუშაობა მარტო თოხებისა და წალდების გამოშვებით არ ამოიწურება. აქ წლეულს 1.400 ათასი მანეთის ხილის სახეხებს გამოუშვებენ და ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქს მიაწვდიან. ამ სახელმწიფო ხარისხის ნიშნით აღნიშნული სახეხების შესაფუთავი ყუთები არც თუ ისე დიდი ხნის წინათ საწარმოში სხვა რაიონებიდან შემოდიოდა. ხშირი იყო მათი შეფერხებით მოწოდების შემთხვევები და ეს, ცხადია, ხელს უშლიდა კომბინატის რიტმულ მუშაობას. ახლა ყუთების დამზადება ადგილზე აითვისეს და ამით წელიწადში 50 ათას მანეთს ზოგავენ.

კომბინატი წარმატებით ართმევს თავს შეკვეთებს და მომხმარებელს დროულად უგზავნის სამუშაო ხალათებს, სანიტარიულ სპეცტანსაცმელს, ხილაბანდებს მეჩაიეებისათვის და სხვა იმ საქონელს, რომელთა გარკვეული რაოდენობა საპატიო ხუთკუთხედიანია.

კომბინატს მომავლისათვის დაგეგმილი აქვს წარმოების მოცულობის ზრდა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. ამჟამად აქ ღორღისგან მაღალი ხარისხის საშენ სილას იღებენ, მაგრამ შესაძლებლობები ამ მხრივ განუსაზღვრელი როდია. სურამის სილის საბადოების ბაზაზე თავისუფლად შეიძლებოდა სილიკატური ბლოკის წარმოება, თუ ამ საქმეში კომბინატს ხელს შეუწყობდნენ ზემდგომი ორგანოები. შედგენილია გაანგარიშება, რომლის თანახმადაც, საწარმო 1.25 ათასი მანეთის ძალიან საჭირო სამშენებლო ბლოკს გამოუშვებს. სურამის სილის ბაზაზე მუშაობს, მაგალითად, ავჭალის სილიკატური აგურის ქარხანა. ხაშურშიც რომ ასეთივე აგურის გამოშვება დაეწყოთ, იგი ავჭალის ქარხნის აგურზე გაცილებით იაფი დაჯდებოდა. რატომ არ შეიძლება დავეხმაროთ კომბინატს ამ საქმეში?

ხაშურის მცხოვრებლებმა გვითხრეს, რომ ჩვენი კომბინატის მიერ დამზადებულ უალკოჰოლო სასმელისთანას ვერსად ვერ იგემებთო. ეს, რასაკვირველია, შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ არსებითი როდია. მთავარი ის გახლავთ, რომ საწარმოს კოლექტივის ნახელავით მოსახლეობა კმაყოფილია.

სხვათა შორის, უალკოჰოლო სასმელების ხარისხით ქარელის მკვიდრნიც კმაყოფილნი არიან. მათ „საიდუმლოდ“ გვითხრეს: ხაშური რას გვიქვია, თქვენ ჩვენი რაისამრეწველო კომბინატის მიერ გამოშვებული წყალი გასინჯეთ და მერე განსაჯეთო. ნურც მათ შევეკამათებით, იყოს ასე, მოსწონთ და, როგორც იტყვიან, შეერგოთ. მომხმარებლის ქათინაური კომბინატის კოლექტივისათვის მასტიმულირებელი ძალაა.

რადგანაც ქარელის კომბინატიც ვახსენეთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ საწარმოს რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული სირთულეები დაუძლევიათ და საქმეს წინსვლა დასტყობია. მართალია, წინა თვეებში უალკოჰოლო სასმელებისა და საკედლე ბლოკების გამოშვების გეგმების შესრულება გაჭირვებიათ, მაგრამ ახლა მდგომარეობა თანდათანობით სწორდება. საერთოდ კი, ქარელელები სახელმწიფო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ და აუმჯობესებენ ნაწარმის ხარისხს. კომბინატის განახლებული სამკერვალო საამქრო წელიწადში ბავშვებისათვის 22 სახეობის 1,5 მილიონი მანეთის ზეწარს, ბალიშის პირს, სპეცხალათს, ველვეტის კაბას, კოსტიუმს, პიონერის ყელსახვევსა და სხვა საქონელს დაამზადებს.

ქარელის რაისამრეწველო კომბინატის დირექტორმა ვ. ციცქიშვილმა აღნიშნა ის რეზერვები, რომლებიც საშუალებას მისცემს საწარმოს სულ მოკლე ხანში მოწინავეთა რიგებში ჩადგეს. წარმოების მოცულობას მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის ქარელელები 1,5-ჯერ გაზრდიან. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ზრდა, ძირითადად, ადგილობრივი ნედლეულისა და წარმოების ნარჩენების გამოყენების გადიდებით განხორციელდება. კომბინატის ნედლეულით დროულად მომარაგებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხი გვარდება, რიტმულად იმუშავებს მავთულბადის წარმოების უბანი, იგი მუშაობის ტემპით გაუტოლდება ქიმიურ საამქროს, რომლის კოლექტივიც მალე უპატაკებს წლიური გეგმის შესრულებას.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

პარტიული ცხოვრება:
მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

ჩვენი რესპუბლიკის საამქრო პარტორგანიზაციებსა და პარტიულ ჯგუფებში უკვე დაიწყო საანგარიშო-საარჩევნო კრებები. კომუნისტები მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, საქმიანად და გაბედულად მსჯელობენ გაწეული მუშაობის ავ-კარგზე, სახავენ წარმატებათა განმტკიცების, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტულ გზებსა და ღონისძიებებს.

კრიტიკა... ზუსტი მისამართით

ინგირის კოლმეურნეობის პირველი უბნის პარტიულ ორგანიზაციაში აღრიცხვაზეა 34 სკკპ წევრი და 2 წევრობის კანდიდატი. საანგარიშო-საარჩევნო კრებას, რომელიც 8 სექტემბერს გაიმართა, უკლებლივ ყველა კომუნისტი ესწრებოდა.

ინგირელებმა თავიანთი ერთსულოვნება გამოხატეს არა მარტო კრებაზე დასწრებით, არამედ ორგანიზაციის საქმეებში საფუძვლიანად გარკვევის სურვილითაც. კამათში მონაწილეობდა 24 ამხანაგი.

პარტბიუროს მდივნის ბ. ქარჩავას საანგარიშო მოხსენებაში, ა. ქარჩავას, ს. გაგუას, ბ. ახალაიას, ახალგაზრდა კომუნისტის გ. ყალიჩავასა და სხვათა გამოსვლებში მთავარი ყურადღება დაეთმო ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, რეზერვების ამოქმედების აქტუალურ საკითხებს. ყველამ ერთსულოვნად აღნიშნა, რომ საჭიროა ძალების მაქსიმალური დაძაბვა პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ დაუსახა მათ მიმდინარე წლის ივლისში კოლმეურნეობაში ყოფნის დროს.

უბნის კომუნისტებმა გადაწყვიტეს პირველი ნოემბრისათვის გაანაღდონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ყველა ვალდებულება. კრების დღისათვის მათ მოკრიფეს 900 ტონა მწვანე ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 860 ტონის ნაცვლად და ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ სამეურნეო წლის ბოლომდე სახელმწიფოს 1.100 ტონა ნედლეული მიჰყიდონ. აღსანიშნავია, ისიც, რომ მათ მიერ მოკრეფილი ჩაის 82 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ასევე მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით წლეულს საგეგმო 85 ტონის ნაცვლად დაამზადებენ 160 ტონა საკვებს, რაც წლინახევრის მარაგია. უბნის ყველა მშრომელი აქტიურად ჩაებმება კოოპერირებაში და თავის წვლილს შეიტანს სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

კომუნისტებმა გულდასმით გააანალიზეს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის პრობლემები, დაუფარავად ამხილეს ნაკლოვანებები. კერძოდ, აღინიშნა, რომ პარტბიურო ნაკლებ ყურადღებას უთმობდა პარტიული კრებების მომზადებასა და ჩატარებას, დღის წესრიგი გადატვირთული იყო მიმდინარე სამეურნეო საკითხებით, ნაკლებად ხორციელდებოდა ორგანიზაციის თითოეული წევრის პასუხისმგებლობის ამაღლების, მუშაობაში ფორმალიზმის აღმოფხვრის ღონისძიებები.

გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები იმის გამო, რომ საჭირო ყურადღება არ ეთმობა მდინარე ჩხოუშიის ნაპირსამაგრი სამუშაოების დამთავრებას, 8-წლიანი სკოლის მშენებლობის ტემპის დაჩქარებას, სავაჭრო ობიექტების უპირველესი საჭიროების საგნებით მომარაგებას. ეს საკითხები მოისმინეს და, საფიქრებელია, ყურად იღეს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ზუგდიდის სამმართველოს, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს, რაიკოოპერატივის ხელმძღვანელებმა, რომლებიც კრებას ესწრებოდნენ. ახლა სიტყვა მათზეა, კომუნისტების სამართლიანი მოთხოვნები დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს.

კრებამ აირჩია საუბნო ორგანიზაციის პარტბიურო 7 ამხანაგის შემადგენლობით და დასახა პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებები.

ვ. გარდაფხაძე.

რიცხვი — მცირე, მოთხოვნა — დიდი

პარტიული ჯგუფი, ჩვეულებრივ, მრავალრიცხოვანი არ არის, მაგრამ ეს როდი გამორიცხავს მის დიდ პასუხისმგებლობას კოლექტივში შექმნილ ვითარებისათვის. სწორედ ამაზე იყო საქმიანი სჯა-ბაასი სიღნაღის რაიონის ვაქირის კოლმეურნეობის ტრაქტორების პარკის პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

კრებას დაესწრო ჯგუფის ოთხივე კომუნისტი და, რა თქმა უნდა, ყველა მათგანი მონაწილეობდა კამათში. საანგარიშო მოხსენებაში პარტჯგუფორგმა თ. ხუციშვილმა აღნიშნა ის წვლილი, რომელიც ჯგუფის წევრებს შეაქვთ კოლმეურნეობის წარმატებაში. მაგალითად, მათი დამსახურებაც არის, რომ მეექვსე ბრიგადის ზვრები, არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად, სანიმუშოდ გამოიყურება. აქ წლეულს ვარაუდობენ მოკრიფონ 6.000 ცენტნერი ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 4.300 ცენტნერის ნაცვლად.

ყურძნის უხვ მოსავალს ელიან მთელ რიგ სხვა ბრიგადებშიც. მაგრამ მიღწევები მეტი იქნებოდა, მთელ შესაძლებლობას რომ იყენებდნენ. ზოგჯერ მოისუსტებს შრომის დისციპლინა, ტრაქტორების პარკი უზრუნველყოფილი არ არის სათანადო კადრებით. მომხსენებელმა გააკრიტიკა ტრაქტორისტი თ. დემეტრაშვილი, რომლის უყურადღებობით ნაადრევად გამოვიდა მწყობრიდან მისთვის მიჩენილი ტრაქტორი.

კრებაზე გამოსულმა კომუნისტებმა ილაპარაკეს ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებზე, იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი. გ. იასეშვილმა ვალდებულება იკისრა, რომ მისი ბრიგადა სავენახე სამუშაოების 85 პროცენტს მექანიზმებით შეასრულებს, შ. მამუკელაშვილმა ილაპარაკა მექანიზატორთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი წამახალისებელი ღონისძიებების დანერგვის საკითხებზე. როგორც შ. ჩალათაშვილმა თქვა, კოლმეურნეობა იღებს მეტად უხარისხო ცემენტის საყრდენ ბოძებს, რომლებიც ტრაქტორის მცირედი შეხებითაც კი მწყობრიდან გამოდის. ეს, ბუნებრივია, ართულებს მექანიზატორთა მუშაობას.

კრებაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები უკვე გაეგზავნა შესაბამის ორგანიზაციებს სათანადო ზომების მისაღებად.

შ. ქლიბაძე.

სოფელი კი მანქანას ელის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია, რომ „80-იან წლებში შეუძლებელი იქნება სასოფლო-სამეურნეო პრობლემათა გადაჭრა, თუ არ დავნერგეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ინდუსტრიული მეთოდები, ყოველი ღონისძიებებით არ ავამაღლეთ მექანიზაციის და ავტომატიზაციის დონე“.

ამ მხრივ ბევრი რამ კეთდება რესპუბლიკაში. შექმნილია და რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ არის დანერგილი ჩაის მანქანათა კომპლექსი ვაკე და 10 გრადუსამდე დახრილობის ფერდობებზე გაშენებულ პლანტაციებში სამუშაოდ. მასში შედის სასუქის შემტანი, ნიადაგის გამაფხვიერებელი, პლანტაციის შპალერული, ნახევრად მძიმე და მძიმე წესით გასხვლის აპარატები, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მობილური და ხელის მოტორიზებული საკრეფი და სასხლავი აპარატები და ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანისათვის განკუთვნილი სხვა მანქანები. ყოველივე ამით მნიშვნელოვნად შემცირდა ხელის შრომა, ამ სამუშაოსაგან განთავისუფლდა დიდძალი მუშახელი და შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

წარმატებით გაიარა სახელმწიფო გამოცდა მონორელსურმა ტრანსპორტიორმა, რომლის პირველ სერიულ ნიმუშებს (50 ცალს) წლეულს დაამზადებს ქარხანა „საქსოფლმანქანა“ და მიაწვდის მეციტრუსეობის მეურნეობებს. ამ მანქანით შესაძლებელია ფერდობ და ტრაქტორებისათვის მიუდგომელ პლანტაციებში შესრულდეს სასუქის შეტანის, მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის, მოსავლის გამოზიდვისა და სხვა სამუშაოები. ერთი ასეთი მანქანის წლიური ეკონომიკური ეფექტი 667 მანეთია.

შექმნილია და სერიული წარმოების უფლება აქვთ მოპოვებული მოკრეფილი ჩაის ფოთლის ავტომობილზე დამტვირთავ ტრანსპორტიორს, მანქანებს მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად, სარწყავ აგრეგატებს ჩაის პლანტაციის მორწყვისათვის, ფერდობებზე სამუშაოდ გათვალისწინებულ სამთო თვითმავალ შასის (საკიდი მანქანებითა და აპარატებით) და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სხვა მანქანებს. ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის კოლექტივი ამუშავებს და მეთერთმეტე ხუთწლედში წარმოებას მიაწვდის 5-7 ცხენის ძალის სიმძლავრის მოტობლოკს და მცირეგაბარიტიან ტრაქტორს, რომლებიც აღჭურვილი იქნება მანქანა-იარაღების კომპლექტით (გუთანი, სათიბი, კულტივატორი, ორმოსათხრელი, შესასხურებელი, წყლის ტუმბო, მისაბმელი ძარა ტვირთის საზიდად და სხვ.).

სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ახალი მანქანების შექმნის პროცესი რესპუბლიკაში გეგმაზომიერად მიმდინარეობს, მაგრამ ზოგი მანქანის კონსტრუქციები, რომლებიც შექმნილია, წარმატებით გაიარეს სახელმწიფო გამოცდა და მოიპოვეს სერიული წარმოების რეკომენდაცია, სხვადასხვა მიზეზით ქარხნული წესით სერიულად არ მზადდება. ამის გამო ზოგიერთი კულტურის მოვლა-მოყვანის სამუშაოები ხელით ან მოძველებული მანქანებით სრულდება. 20 გრადუსამდე დახრილობის ფერდობებზე გაშენებულ პლანტაციაში სამუშაოდ გათვალისწინებული ჩაის მანქანათა კომპლექსის (სამთო თვითმავალი შასი, კულტივატორი, ფუმიგატორი, ჩაის ბუჩქის შპალერულად და ნახევრად მძიმე სასხლავი და ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საკრეფი აპარატები) შექმნის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები წარმატებით დამთავრდა 1979 წელს. მათი სერიული წარმოება კი 1984 წლისათვის არის ნავარაუდევი.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, ქარხანა „საქსოფლმანქანას“ წლეულს სერიულად უნდა დაემზადებინა ახალი კონსტრუქციის ჩაის შპალერულად სასხლავი აქტიური აპარატი კშა-1. ამისათვის მას დროულად გადაეცა ტექნიკური დოკუმენტაცია, მაგრამ ქარხანა ამ საქმეს ჯერაც არ შესდგომია და უშვებს მოძველებული კონსტრუქციის ბშპ-1 მარკის სასხლავ აპარატს, რომელსაც დამზადების ტექნიკური პირობების ვადის გასვლის გამო დაკარგული აქვს სერიული წარმოების უფლება. ახალი კონსტრუქციის აპარატი კი მის წინამორბედთან შედარებით წელიწადში 409 მანეთ ეკონომიას იძლევა. ამავე საწარმოს წლეულს უნდა გამოეშვა ხელის მოტორიზებული აქტიური აპარატი, ციტრუსოვანი კულტურებისათვის გათვალისწინებული ხელის მოტორიზებული შესასხურებელი, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა.

როგორც ჩანს, ქარხანა „საქსოფლმანქანისათვის“ შედარებით იოლი გზაა წლების მანძილზე ათვისებული პროდუქციის სერიული წარმოება. სოფლის საჭიროება კი მოითხოვს ქარხანამ შეცვალოს ასეთი პოზიცია და დროულად მოჰკიდოს ხელი ახალი სრულყოფილი და მოდერნიზებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოშვებას.

ახალი ტექნიკის შექმნასა და სერიულ წარმოებასთან ერთად მეტ ყურადღებას საჭიროებს სოფლის მეურნეობაში მისი დანერგვის საქმე, რისთვისაც უფრო უნდა გააქტიურდნენ მეცნიერები და კონსტრუქტორები. ამ მხრივ მისაბაძია საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლების თაოსნობა. ისინი გულრიფშის რაიონის „ილიჩის“ მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში წლეულს დააყენებენ სამ მონორელსურ ტრანსპორტიორს და მეურნეობას დაეხმარებიან მის რაციონალურ ექსპლოატაციაში.

რესპუბლიკაში ხელის მოტორიზებული და მცირეგაბარიტიანი ტექნიკის განვითარების ტენდენცია და მათი კონსტრუქციების შექმნის დღევანდელი მდგომარეობა იმის გარანტიას იძლევა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში სოფლის მეურნეობა მიიღებს ახალ, სრულყოფილ მცირეგაბარიტიან მოტორიზებულ ტექნიკას, რომლის დანერგვისა და რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ამთავითვე დავიწყოთ ენერგიული მზადება. უწინარეს ყოვლისა, მისახედია მანქანებზე მომუშავეთა კადრების მომზადების საქმე, ვინაიდან რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მუშები სათანადოდ არ იცნობენ ახალ მანქანათა მუშაობის წესებს, მცირე მექანიზაციის ტექნიკურ საშუალებებს, საკმარისად ვერ ერკვევიან მათი ექსპლოატაციის ხერხებში, რის გამოც ზოგჯერ ახალი მანქანები და აპარატები ვერ ასრულებენ დღიურ ნორმებს.

საჭიროა საშუალო სპეციალური ტექნიკური განათლებისა და საინჟინრო კადრების მოსამზადებლად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტების, ზოგიერთი მექანიზაციის ტექნიკუმების სასწავლო პროგრამებში მეტი ყურადღება დაეთმოს სამთო პირობებში სამუშაოდ გათვალისწინებული და მცირეგაბარიტიანი მოტორიზებული ტექნიკის კონსტრუქციებს და მათი რაციონალური ექსპლოატაციის ხერხების სრული კურსის სწავლებას.

ახალ მანქანათა რეკლამირებისა და მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების დანერგვის დაჩქარების მიზნით სასურველია ზონების მიხედვით ერთ ან ორ მეურნეობაში მოხდეს მუშაობის პირობებში ახალ მანქანათა ჩვენება და მათი საიმედო გამოყენების ხერხების შესწავლა.

აუცილებელია უახლოეს ხანში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით გამოიცეს პლაკატები, პროსპექტები, ბროშურები და სხვა საჭირო ლიტერატურა, რომლებშიც აისახება ახალი მცირეგაბარიტიანი ტექნიკისა და ხელის მოდერნიზებული აპარატების კონსტრუქციების განვითარება, მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გამოყენების მეთოდები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დროული მოგვარება ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების დანერგვას და აამაღლებს მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონეს, რაც აუცილებელია მცირე დანახარჯებით უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის.

ი. დვალი,

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ინსტიტუტის განყოფილების გამგ

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

ზუგდიდის რაიონში მდინარე ჭურიისა და მის შენაკადებზე ხშირად ნახავთ თივით დატვირთულ კატარღებს. ეს თივა კი მოთიბულია იქ, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ ჭაობი იყო. ჭანჭრობების საკვები ბაზის ახალ რეზერვად გამოყენების ინიციატორები გახდნენ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეები.

გულმოდგინედ ემზადებიან პირუტყვის კარგი გამოზამთრებისათვის ქ. წყალტუბოს ზონის გეგუთის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები.

სურათებზე: ქ. წყალტუბოს ზონის გეგუთის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის ყანაში მიმდინარეობს ნამჯის ალება და დაწნეხა; ფლოტილიას „არგონავტები“, რომელიც შეიქმნა ზუგდიდის საკვებდამუშავების რაიონულ გაერთიანებაში, გამოაქვს ახალმოთიბული თივა.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საკვებმომპოვებლები ჩქარობენ

ბაგირგზები მთებს „იპყრობენ“

კიდევ რამდენიმე ასეული ჰექტარით გაიზარდა მცირემიწიანი საქართველოს საკვების სავარგულები. მესტიის რაიონში ამოქმედებული ახალი ბაგირგზით ალპური ზონიდან პირველად ჩამოიტანეს ასობით კილოგრამი ნვნიანი საკვები. 1.600 მეტრი სიგრძის ამ ტრასამ სოფელ იფარის კოლმეურნეობის საკვებდამამზადებლებს საშუალება მისცა ზღვის დონიდან თითქმის სამ კილომეტრ სიმაღლეზე მოეთიბათ ბალახი.

— თქვენი სისტემის მუშაკებმა კარგი შრომითი ნობათით აღნიშნეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა — მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს „საქმთავარბაგირგზის“ საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნა, — ასე დაიწყო საუბარი ახალი უწყების თავმჯდომარესთან შ. ორჯონიკიძესთან საქინფორმის კორესპონდენტმა, — კიდევ სად გაჩნდება რესპუბლიკაში ახალი ბაგირგზები?

— დავამთავრეთ სამონტაჟო სამუშაოები სპეციალიზებული, სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის გათვალისწინებული ბაგირგზების ასაგებად ლენტეხის, ონისა და დუშეთის რაიონებში. ისინი მთის მდელოებიდან ჩამოიტანენ საკვებს, ზევით აიტანენ სასუქს, მცირე მექანიზაციის საშუალებებს. ამჟამად საქართველოში 44 სატვირთო და 33 სამგზავრო ბაგირგზა მოქმედებს, რომლებსაც შეუძლიათ ყოველწლიურად 11 მილიონი მგზავრის გადაყვანა და 9 მილიონი ტონა ტვირთის გადატანა. მეთერთმეტე ხუთწლედში ოცზე მეტი ახალი საჰაერო გზა აშენდება.

— პატივცემულო შოთა, თქვენი ორგანიზაცია სულ რაღაც ექვსი წელიწადია არსებობს და უკვე ორჯერ მოგიხდათ სახელის შეცვლა: თავდაპირველად უბრალოდ სამმართველო გერქვათ, შემდეგ მთავარი სამმართველო, ახლა კი — სახელმწიფო კომიტეტი. რამ გამოიწვია დარგის ესოდენ სწრაფი განვითარება?

— უწინარეს ყოვლისა, რესპუბლიკის, მეტადრე მისი სოფლის მეურნეობის მზარდმა მოთხოვნილებამ სპეციალიზებულ, რელიეფის შესაბამის ტრანსპორტზე.

ცოტა რამ ისტორიიდან. თავდაპირველად ჩვენი ორგანიზაცია საკოორდინაციო ფუნქციებს ასრულებდა და ეს გამართლებული იყო — არსებულ ბაგირგზებს აპროექტებდნენ, აშენებდნენ და საექსპლოატაციოდ გადასცემდნენ სხვადასხვა სამინისტროები და უწყებები, არ იყო ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა. საერთოდ, აქტუალური პრობლემები არ წყდებოდა კომპლექსურად. ჩვენ ამოცანად დაგვისახეს შეგვემუშავებინა და ეტაპობრივად განგვეხორციელებინა საბაგირო ტრანსპორტის განვითარების პროგრამა, რის დროსაც უნდა გაგვეთვალისწინებინა ყველა სამუშაო: პროექტიდან სავსებით გამზადებულ ობიექტამდე. მუდმივად გვიწევდნენ და გვიწევენ დახმარებას რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტები, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი. დარგის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა ბათუმში ოთხი წლის წინათ მოწყობილი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სატრანსპორტო კომისიის სხდომა. სხდომამ მოიწონა ჩვენი წინადადებები და ბევრ ორგანიზაციას ურჩია მათი დანერგვა.

წლითიწლობით რთულდებოდა ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანები. უკვე შევუდექით მუშაობას ორი ძირითადი მიმართულებით — ვამუშავებთ საქართველოში ბაგირგზების, როგორც დამოუკიდებელი დარგის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას და ვქმნით მისთვის საჭირო საწარმოო და საკონსტრუქტორო ბაზას. და მეორე — დავიწყეთ მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ძნელად მისადგომი ადგილების, უწინარეს ყოვლისა, მთის სათიბებისა და საძოვრებისათვის სპეციალიზებული სატვირთო და სამგზავრო ბაგირგზების დიდად ეფექტიანი კონსტრუქციების დამზადება-დანერგვის სამუშაოთა კომპლექსური პროგრამის შემუშავება. რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს უნდა დავეხმარებოდით მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარებისათვის საიმედო საკვები ბაზის შექმნაში. არსებითად, მეორე მიმართულება ნიშნავდა **ახალი სახეობის სასოფლო ტრანსპორტის** შექმნის პრობლემის გადაწყვეტას.

ბევრი სიძნელის, ასე განსაჯეთ, ახალი სახეობის ტრანსპორტის პერსპექტიულობის, მისი ეფექტიანობისადმი ზოგიერთი სამეურნეო მუშაკის ურწმუნობის გადალახვაც კი მოგვიხდა.

— შედეგი როგორია?

— შედეგად თვით ბაგირგზებმა დაამტკიცეს თავისი აუცილებლობა. მით უმეტეს, რომ, როგორც უკვე ვთქვი, პრობლემებს კომპლექსურად ვწყვეტდით, ვცდილობდით აგვეშენებინა საიმედო ბაგირგზები, რომლებსაც დიდი მოვლა, დიდი ხარჯები არ დასჭირდებოდათ. აი რამდენიმე მაგალითი. სპეციალურად სოფლის საჭიროებისათვის შეიქმნა „რიკოთი—1“ და „რიკოთი—2“ ტიპის ბაგირგზები, რომლებიც მთის სათიბებზე მუშაობენ და აღჭურვილი არიან მართვის ავტომატური სისტემებით. ხოლო ბაგირგზა „აცანას“ ახალი კონსტრუქციას, რომელიც მთლიანად ავტომატიზებულია და შესრულებულია უკონტაქტო ელემენტებით — ტირისტორებით, უკვე გადაჰყავს მგზავრები და გადააქვს ჩაის ფოთოლი ლანჩხუთის რაიონში. იგი 50 პროცენტით ზრდის მეჩაიეთა შრომის ნაყოფიერებას და 21-ჯერ ამცირებს ტვირთის ტრანსპორტირების დროს.

— პატივცემულო შოთა, თქვენი კაბინეტის კედელზე კიდია ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია ტრაქტორი „ბელარუსი“. მას უკანა თვლები არა აქვს. რა კავშირი აქვს ამ სურათს ბაგირგზებთან?

— პირდაპირი, რადგან ბაგირგზების მნიშვნელოვან ნაწილს მაღალი მთის სათიბების მოსამსახურებლად ვაშენებთ, ყოველთვის როდი გვაქვს შესაძლებლობა მათი ენერგომომარაგებისათვის გამოვიყვანოთ ძვირად ღირებული ელექტროგადამცემი ხაზები, მით უმეტეს, რომ ისინი მუშაობენ სეზონურად, და არა მთელი წლის განმავლობაში. ჰოდა, გადავწყვიტეთ ჩვეულებრივი სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორის სიმძლავრის წართმევის ლილვით აგვემოძრავებინა ბაგირგზები.

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნო, რომ უნივერსალური სატვირთო-სამგზავრო ბაგირგზების მშენებლობა არა მარტო გვაძლევს საშუალებას დავეხმაროთ სოფლის მშრომელებს მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარებაში, არამედ ხელს უწყობს კიდევაც სამთო ტურიზმის განვითარებას.

— სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი მეთაური დაწესებულებაა საბჭოთა კავშირში. მაშასადამე, ძირითადად თქვენ გეკისრებათ კვლევა-ძიება, მეცნიერული მუშაობა საბაგირო ტრანსპორტის დარგში. როგორია „სახსპეცტრანსის“ სამეცნიერო-საწარმოო პოტენციალი?

— კომიტეტის შემადგენლობაშია სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ბაზაზე შექმნილი სპეციალურ სახეობათა ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი „ტრანსავტომატიკა“. აქ შემუშავდა ყველა ახალი სახეობის ბაგირგზები. შენდება სამეცნიერო-ექსპერიმენტული და საწარმოო ბაზები საბურთალოსა და ორხევში. „ტრანსავტომატიკის“ ინსტიტუტი მეთაურობს 1980-1985 წლებისათვის გათვალისწინებული მიზნობრივი პროგრამის — „კიდული ბაგირგზებისა და მათი ავტომატიზაციის სისტემების შექმნა-დანერგვის“ — რეალიზაციას.

მეთერთმეტე ხუთწლედში ჩვენ წინაშე მდგომი მთავარი ამოცანაა შევქმნათ და ავაშენოთ ბაგირგზები საკვებდამამზადებლებისათვის, აგრეთვე სამგზავრო ტრასები ქალაქების, მათ შორის თბილისისათვისაც. სამწუხაროდ, საწარმოო ბაზა ჯერ კიდევ სუსტი გვაქვს, მაგრამ სულ მალე, 1983 წელს ახალქალაქში ამოქმედდება ბაგირგზების მოწყობილობის მძლავრი ქარხანა, რომლის აშენება გათვალისწინებულია უახლოესი ათწლეულისათვის ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებებით.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ საბაგირო გზები ერთადერთი სპეციალური სახეობის ტრანსპორტი როდია, რომლის შექმნაზეც ვიმუშავებთ. ჩვენ შევქმნით აგრეთვე საკონვეიერო, მონორელსიან, მილსადენ, პნევმო-კონტეინერულ და ჰიდრავლიკურ ტრანსპორტს, რომელიც სულ უფრო ფართოდ ინერგება რესპუბლიკაში.

სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი

პასუხის-მგებლობის საზომი

საგარეჯოს ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ვადამდე შეასრულა რვა თვის დავალებანი ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით, კვლავ აძლიერებს შრომის ტემპს. წარმოების მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 33 პროცენტით გაიზარდა. მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად.

— წლევანდლამდე საგარეჯოს ავტოსარემონტო ქარხანა ჩამორჩენილად ითვლებოდა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მისმა დირექტორმა თ. ალადაშვილმა. — ჩამორჩენის მიზეზი ის იყო, რომ არ გვყავდა სპეციალურად მომზადებული კადრები, აგრეთვე დამაკმაყოფილებელი არ იყო წარმოების ტექნიკური მდგომარეობა. მაგრამ მაინც ყველაზე მეტად თავს იჩენდა ხარვეზები როგორც წარმოების ორგანიზაციაში, ისე დაგეგმვაში.

ანალიზმა ცხადყო, რომ ნორმატიული სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტი 0,7-ს შეადგენდა. ეს კი ნიშნავდა, რომ საწარმო მხოლოდ ორი მესამედი საპროექტო სიმძლავრით მუშაობდა. მოწყობილობის ცვლიანობის საშუალო საქარხნო კოეფიციენტი 1,29-ს შეადგენდა. ერთ-ერთ ძირითად საამქროში ეს მაჩვენებელი ერთზე ნაკლებიც კი იყო — ჩარხები მხოლოდ ნახევარ ცვლას მუშაობდნენ. და მაშინ კოლექტივმა გადაწყვიტა დაენერგა წარმოების ეფექტიანობის მართვის კომპლექსური სისტემა.

წინათ როგორ იყო? გეგმას, ძირითადად, წარმოების მოცულობის მიხედვით ვასრულებდით და პრემიას ვიღებდით. იმას კი საერთოდ არ ვაქცევდით ყურადღებას, რამდენი მეცადინეობა ხმარდება ამას, როგორ გამოიყენებოდა მოწყობილობა, როგორია პროდუქციის თვითღირებულება, და საერთოდ არ ვითვალისწინებდით მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს. გასაკვირი არ არის, რომ საამქროების ზოგიერთი ხელმძღვანელი ცდილობდა მიზნისთვის უმოკლესი გზით მიეღწია, ძირითადად ავრალებსა და ზეგანაკვეთურ მუშაობაზე ამყარებდა იმედს.

ყოველი ქვეგანაყოფის შრომის შედეგების შეფასებისადმი დიფერენცირებულმა მიდგომამ ერთხელ და სამუდამოდ მოუღო ბოლო გათანაბრებას. ამიერიდან შედეგების შეჯამებისას საფუძვლად ვიღებთ საწარმოო სიმძლავრის ჩარხსაათებით გამოხატულ მაჩვენებელს. მისი გამოყენების ეფექტიანობაზე პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული დანარჩენი მაჩვენებლები — თვითღირებულება, ფონდუკუგება და მრავალი სხვა. და რაც უფრო უკეთესია ეს მაჩვენებლები, მით უფრო დიდია გასამრჯელო. განა ეს შემოქმედების სტიმული არ არის? მინდა წინასწარ ვთქვა, რომ წლეულს შარშანდელთან შედარებით რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა თითქმის ორჯერ გაიზარდა, ხოლო მათმა ეკონომიკურმა ეფექტმა 15 ათას მანეთს მიაღწია.

ქარხნის ყველა საამქროში მოკლე ხნის მანძილზე გავარემონტეთ მოძველებული მოწყობილობა, რომელსაც არ იყენებდნენ, ზოგიერთი ნაკლებმწარმოებლური ჩარხი შევცვალეთ თანამედროვე ჩარხებით. ამ და სხვა სარეორგანიზაციო ღონისძიებათა შედეგად სიმძლავრეთა უკუგება თითქმის 40 პროცენტით, ხოლო წარმოების ეფექტიანობა — 20 პროცენტით გაიზარდა.

გაფართოებულ ზონაზე გადასვლამ საშუალება მისცა მოწინავეებს, თვეში 1,5-ჯერ და მეტად გადააჭარბონ თვიურ დავალებებს, ხოლო მთლიანად კოლექტივს — აითვისოს ახალი საწარმოო სიმძლავრეები. მაგალითად, ათვისებულია ავტომანქანების ძარების, ლითონის ყუთების, სათადარიგო ნაწილებისათვის განკუთვნილი კონტეინერების გამოშვება, შეიქმნა შალითების, ავტომანქანების ტენტების სამკერვალო საამქრო. საკმარისია ითქვას, რომ ავტომობილების აღდგენისა და რემონტის სამუშაოთა მოცულობა შარშანდელთან შედარებით 40 პროცენტით გაიზარდა.

ახლა საგარეჯოს ავტოსარემონტო ქარხანაში არ არის არც ერთი ბრიგადა, ცვლა, უბანი, საამქრო, რომელიც თავს ვერ ართმევდეს თავის ამოცანებს. ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ წლიური დავალება ვადაზე ორი კვირით ადრე შევასრულოთ.

დროის მოთხოვნა

მმართველობის დოკუმენტაციური უზრუნველყოფა

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა დღის წესრიგში დააყენა მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოთვლითი ცენტრების შემდგომი განვითარება, რაც დიდად შეუწყობს ხელს აღრიცხვის, დაგეგმვისა და მართვისათვის საჭირო ინფორმაციის შეკრებასა და დამუშავებას.

მართვის ავტომატიზებული სისტემების შემუშავება და ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული ინფორმაციით უზრუნველყოფაზე, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემის შექმნა. ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1974 წელს სსრ კავშირის მთავარ-არქივმა დოკუმენტმცოდნეობისა და საარქივო საქმის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად შეიმუშავა საორგანიზაციო-განმკარგულებელი დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემა, რომელიც შეთანხმებულია სახელმწიფო სტანდარტების კომიტეტთან და დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს მიერ ალბომის სახით. ასეთი ალბომი რეკომენდებულია ყველა ორგანიზაცია-დაწესებულებებში დასანერგად, როგორც მართვის ავტომატიზებულ სისტემებში, ასევე დოკუმენტების ტრადიციული მეთოდით დამუშავების პირობებში.

საორგანიზაციო-განმკარგულებელი დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემის შემუშავების ძირითადი მიზანია დოკუმენტების ურთიერთშეკავშირებული კომპლექტების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ფუნქციების რეალიზაციას. ეს სისტემა დაფუძნებულია საორგანიზაციო-განმკარგულებელი დოკუმენტაციის სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებზე და შედგება სამი ქვესისტემისაგან, რომლებიც უზრუნველყოფს ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების შექმნას, მათს რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას; მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღებას, სხვა სამუშაოზე გადაყვანას, განთავისუფლებას, შვებულებების მიცემას, წახალისებას, დისციპლინური სასჯელის დადებას; და ბოლოს, დოკუმენტების შესრულების ავტომატიზებულ კონტროლს.

საორგანიზაციო-განმკარგულებელი დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემის დანერგვით დიდ ეკონომიკურ ეფექტს ვაღწევთ: შემცირდება დოკუმენტებზე მუშაობის შრომატევადობა; შეიცვლება საორგანიზაციო-განმკარგულებელი დოკუმენტაციის მომზადებისა და გამოცემის წესები; შემოღებული იქნება უნიფიკაციის, ტრაფარეტიზაციის, დოკუმენტების გატარების რაციონალური ორგანიზაციის წესები; დოკუმენტების შესრულების კონტროლისათვის გამოყენებული იქნება პერფობარათები და პერფოლენტები და გაუმჯობესდება მისი ხარისხი; შემცირდება დოკუმენტბრუნვა; გაუმჯობესდება სამმართველო შრომის პირობები და ორგანიზაცია; დაგვეზოგება დიდძალი ქაღალდი.

ჩვენს ქვეყანაში 20-ანი წლების დამდეგს დოკუმენტაციის სფეროში ქაოსი სუფევდა. დაუდგენელი იყო დოკუმენტების ფორმატები, ბლანკის ფორმები, ტექსტები, ხელმოწერის წესები. საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მშენებლობის წარმატებით გადასაწყვეტად, — აღნიშნავდა ლენინი, — მთავარია ქაღალდის ზღვასთან ბრძოლა. იგი ხაზს უსვამდა შტატების შემცირების, საქმის წარმოების მოწესრიგებისა და გამარტივების, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის აუ
ცილებლობას.

ლენინის ეს იდეები დაედ
საფუძვლად ჩვენი პარტიის შემდ
გომ მუშაობას მმართველობ
სრულყოფისა და ოპტიმიზაცი
სათვის. სამოქალაქო ომის დამ
თავრების შემდეგ დიდად განვი
თარდა მმართველური დოკუმენ
ტაციის უნიფიკაცია. მხოლოდ 60-
იანი წლები შეიძლება ჩაითვალო
სტანდარტიზაციისა და უნიფიკა
ციის განვითარების ახალ ეტაპად
ამ დროისათვის უნიფიცირებუ
ლია: ქაღალდის ფორმატი, რეკ
ვიზიტების განლაგება, მინდ
რის ზომა, საღებავებისა და შრი
ფტის გამოყენება, დოკუმენტე
ბის სახეობათა დასახელება, ხელ
მოწერის უფლება, ინფორმაცი
შემადგენლობა, ტექსტი, აგრეთ
ვე დოკუმენტებზე მუშაობის წე
სები და მეთოდები. უნიფიკა
ციის შედეგად საორგანიზაციო
განმკარგულებელი დოკუმენტა
ციის არსებული 400 ფორმიდა
დარჩა 73.

როგორც ვხედავთ, საორგანი
ზაციო-განმკარგულებელი დოკუ
მენტაციის უნიფიცირებულ სის
ტემას მეტად მრავალფეროვან
და მნიშვნელოვანი ფუნქციებ
აკისრია, მეტად ვრცელია მისი
მოქმედო არეც.

1977 წელს ზემდგომი ორ
განოების დადგენილების ს
ფუძველზე მთავარ საარქივ
სამმართველოს დაეკისრა საორგ
ნიზაციო-განმკარგულებელი დოკ
მენტაციის უნიფიცირებული სი
ტემის წარმოების რესპუბლიკუ
საბაზო ორგანიზაციის ფუნქცი

ამასთან დაკავშირებით 197
წელს საქართველოს მთავა
არქივის სამეცნიერო-კვლევითი
მეთოდიკური მუშაობის განყოფ
ლებასთან შეიქმნა საორგანი
ციო-განმკარგულებელი დოკუმ
ტაციის უნიფიცირებული სის
მის დამნერგავი ჯგუფი, რომე
საც რთული და პასუხსაგები მ
სია დაეკისრა. ჯგუფი მეთოდიკ
დახმარებას უწევს რესპუბლიკ
ორგანიზაცია-დაწესებულებებ
უნიფიცირებული ფორმებისა
სახელმწიფო სტანდარტების დ
ნერგვაში. მაგალითად, საქართ
ლოს სსრ საავტომობილო ტრა
სპორტის სამინისტროში უკ
დაინერგა მუშა-მოსამსახურეთა
მუშაობაზე მიღების ანკეტა და
კეტის დამატება. საქართველ
მთავარ საარქივო სამმართველ
და ცენტრალურ სახელმწიფო ა
ქივებში დასანერგად გამზადებ
ლია კადრების ქვესისტემის ყვე
დოკუმენტის უნიფიცირებუ
ფორმა: ანკეტა, ანკეტის დამატ
ბრძანებები სამუშაოზე მიღებ
სხვა სამუშაოებზე გადაყვან
განთავისუფლების, შვებულ
ბის მიცემის, წახალისების, დ
ციპლინური სასჯელის დადე
შესახებ. აქ უნიფიცირებული ფ
რმების დამუშავება ხდება ტ
დიციული მეთოდით.

როგორც მიღებული შედეგ
გვიჩვენებს, საორგანიზაციო-გან
კარგულებელი დოკუმენტაც
უნიფიცირებულმა სისტემამ
მართლა თავისი დანიშნულება
ერთხელ კიდევ ნათლად დაგვა
ვა, რომ მისი დანერგვა უ
შეუწყობს ხელს სახალხო მეუ
ობის მართვის ინფორმაციუ
უზრუნველყოფის სრულყო
პრობლემების წარმატებით გ
ჭრას.

ა. ამირ

საქართველოს სსრ მინის
თა საბჭოსთან არსებ
მთავარი საარქივო სამმ
ველოს უფროსი ინსპექტ

დღევანდელი ნომრის სტუმარი

ტ ვ ი რ თ ი

მხატვარი გუშინ ჩამოვიდა. მზედაკრული, ენერგიული სახე კეთილად უღიმის.

— რაჭაში, ონის მახლობლად სოფელ ღარში ვარ ხოლმე ზაფხულობით, ასეა დიდი ხანია, ახლაც, სამოცდათხუთმეტი წელი იქ შემისრულდა. და პირველად, რა თქმა უნდა, ჩემმა მეზობლებმა, ჩემმა რაჭველებმა მომილოცეს...

საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი ანდრეი ლებედევი მოგვითხრობს:

— უჩა ჯაფარიძის ტილოები შთამბეჭდავად გადმოგვცემენ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის — ზემო რაჭის ყოფასა და უზადო ბუნებას. მხატვარმა ზედმიწევნით იცის ფსიქოლოგია, ხასიათები, წესჩვეულებანი იქაურებისა, და როგორ ამეტყველებს ტილოებზე, რა სასოებით... აბა გაიხსენეთ მისი „ღარველი ქალი“, „ბარაკონი“, „რაჭველი მესტვირე“, „ონის ბაზარი“, „დედის ფიქრები“... სამაგიეროდ უჩა ნამდვილ კერპადა ჰყავთ იქ. მახსოვს, ერთხელ მასთან ერთად ვიმოგზაურე ზემო რაჭაში. ყველგან აჩვენებდნენ, ყველას აინტერესებდა, რას ქმნიდა ახალს, საინტერესოს, როდის მოაწყობდა გამოფენას. და როდესაც მხატვარმა ერთ-ერთი გამოფენა მართლაც თავის რაიონში მოაწყო, მახსოვს, მისი გახსნა ჭეშმარიტ სახალხო დღესასწაულს დაემსგავსა...

...**პოდა**, იმას გიყვებოდით. მომილოცეს მეზობლებმა, თბილისიდანაც ბევრი ჩამოვიდა მეგობარი და კოლეგა, აი, დეპეშები ნახეთ, რამდენია... მაინც გაგიხარდება კაცს...

— ერთხელ თქვენმა უფროსმა ძმამ, პატივცემულმა ვლადიმერ ჯაფარიძემ ხუმრობით თქვა: მე ვასწავლე მაგას მხატვრობაო... ვითომ, ასე იყო, ბატონო უჩა?

— დიდი გავლენა იქონიეს ორივე ძმებმა, ვლადიმერმა და სულ უფროსმა — გრიგოლმა. ძალიან უყვარდათ ხატვა, კარგადაც ხატავდნენ. სხვათა შორის, მათ თარგმნეს პირველად რუსულ ენაზე „ბაში აჩუკი“, „გლახის ნაამბობი“, ალექსანდრე ყაზბეგის რამდენიმე მოთხრობა. შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოსცეს ალექსანდრე ხახანაშვილის რედაქციით... საერთოდ, ოჯახში დიდ პატივს სცემდნენ ლიტერატურას, ხელოვნებას... მამა პედაგოგი იყო... ამან ყველაფერმა, რა თქმა უნდა, ხელი შემიწყო...

1922 წელს ჩამომიყვანეს თბილისში და ორ წელიწადს მოსე თოიძის სტუდიაში ვსწავლობდი. შემდეგ კი, უკვე აკადემიაში დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, ე. თათევოსიანი, ე. ლანსერე, ი. შარლემანი მასწავლიდნენ, დიდი მხატვრები, შესანიშნავი ადამიანები...

● ●

პირადად ჩემთვის უჩა ჯაფარიძე ლირიკულ-რომანტიკული მხატვარია. სიმსუბუქე, სილაღე ასაზრდოებს ყოველ ნაწარმოებს, ფერწერულ თუ გრაფიკულ ნამუშევრებს, პორტრეტების მთელ სერიას. და ერთიც: უჩა ჯაფარიძის მთელ შემოქმედებაში ძალუმად იგრძნობა ტრფიალი სიწმინდისადმი. გავიხსენოთ ერთ-ერთი ბრწყინვალე ტილო მხატვრისა „სიყრმის მეგობრები“: რა დრო გასულა, რამდენ წყალს ჩაუვლია, სიჭაბუკის დღეთა ნეტარება სულს ისევ კვებავს, ვერაფერი წაშლის...

...იგი დღევანდელობის მხატვარია, დიად საქმეთა, მოვლენადა მემატიანე. ბევრს უნახავს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დარბაზის კედლებზე მონუმენტური ტილო „1901 წლის საპირველმაისო დემონსტრაცია“, რომელიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს, და აი, კარგა ხნის შემდეგ მხატვარი ქმნის „მოსავლის ზეიმს“, მაშინდელი თავდადების ნაყოფს, მამა-პაპათა სისხლით მონაპოვარ დღევანდელობის ზეიმს.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ ნოდარ ჯანბერიძის წერილიდან:

— უჩა ჯაფარიძე მტკიცედ ავლენს თავის მოქალაქეობრივ პოზიციას, როცა ყველაზე აქტუალურ საჭირბოროტო პრობლემებს ეხება. მხატვრის ეს თვისება განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში. მაშინ უჩა ჯაფარიძემ სხვა ქართველ მხატვართა ჯგუფთან ერთად მიაშურა ფრონტის წინა ხაზს, სადაც შექმნა ფრონტული ცხოვრების ამსახველი მრავალი ჩანახატი, ომის მონაწილე გმირთა პორტრეტები... ომის წლებში მხატვარი ხშირად მიმართავს ჩვენი სამშობლოს ისტორიულ წარსულს, ქმნის ლეგენდარულ ისტორიულ პირთა — დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და სხვათა პორტრეტებს...

— ეს პორტრეტი მაინც სულ სხვაა ჩემთვის, — მიჩვენებს უშანგი ჩხეიძის პორტრეტს. — სახლში დავდიოდი ხოლმე მასთან, ცუდად იყო უკვე, მინდოდა მომესწრო ამ საოცარი მსახიობისა და ადამიანის დახატვა...

— ბატონო უჩა, თქვენ პედაგოგი ბრძანდებით, ხელმძღვანელობთ ფერწერისა და გრაფიკის შემოქმედებითს სახელოსნოს, სამხატვრო აკადემიაში კი ფერწერისა და კომპოზიციის კათედრას, ამდენად, ახალგაზრდობასთან დიდი ურთიერთობა გაქვთ. გვიამბეთ მათზე, ჩვენი მხატვრობის ხვალინდელ დღეზე?

— შემოქმედებითი სახელოსნოსათვის, რომელიც თბილისს გარდა მხოლოდ მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში არსებობს, ვარჩევთ ხოლმე აკადემიადამთავრებულ პერსპექტიულ ახალგაზრდებს. მათ ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ სრულყონ თავიანთი ნიჭი და გაქანება, მხარი გაუსწორონ დღევანდელი ქართული მხატვრობის შესანიშნავ წარმომადგენლებს. ოღონდ ერთია: უდიდესი შრომისმოყვარეობა. დღელამის გასწორება მართებთ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ზოგიერთი მარტო ნიჭს არის მინდობილი, ყოველივე დიდი კი, ცნობილია, რა ტიტანური შრომით, იობის მოთმინებით იქმნება...

— გვითხარით, თქვენ როგორ და როდის მუშაობთ?

— როდესაც დროს ვიშოვი, უფრო დილით მიყვარს მუშაობა, სისხამზე... გააჩნია, სერგო ქობულაძე, მაგალითად, ღამე მუშაობდა...

— საინტერესოა რომელი ფერი გიყვართ?

— ვინ არ ეტრფის „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს...“ მე მაინც ბრონეულის ყვავილის ფერს ვამჯობინებ....

— ახლა რაზე მუშაობთ?

— ჩაფიქრებული მაქვს სურათების სერია „აღორძინებული საქართველო“, აგრეთვე ერეკლე მეფის დახატვა მინდა კარგა ხანია...

● ●

ერთი სურათი ყველაზე თვალსაჩინო ადგილას არის კედელზე. დაცალუღლებული ხარის სულისშემძვრელი კვნესა-ზმუილი ისმის ამ სურათიდან. ულისგამწევი მეგობარი გამოცლია, სამუდამოდ დაკარგულა, უღლის მთელი სიმძიმე მარტოდ დარჩენილ, დამწუხრებულ პირუტყვზე გადმოსულა... „მარტოობა“ ჰქვია ამ სურათს. „მარტოობა ძნელია“ — თავისთვის, ჩუმად ამბობს მხატვარი...

და როდესაც ფიქრის გორაზე ბინდი შემოიპარება, თავის ქმნილებებში, ათასფრად მეტყველ სამყაროში იძირება შემოქმედი. და იბადება ახალი თემები, მშობელი მიწის სურნელით გაჟღენთილი სახეები.

მშობელი მიწის, ხალხის სიყვარული არასოდეს მოჰკლებია სახალხო მხატვარს. როგორც პოეტი ხატოვნად ამბობს, ეს სიყვარული ტვირთიც არის, მაგრამ მსუბუქი ტვირთი, რამეთუ იგი რწმენას აძლევს, რომ ხვალ უკეთესი შექმნას, რომ სათქმელი არ დალეულა.

ვ. მარდალეიშვილი.



სურათზე: სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე.
ს. კილაძის ფოტო.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

● ●

«კომუნისტს» უპასუხებს

ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ცნობილაძე

„კომუნისტის“ 2 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი წერილი „საკვებდამამზადებლები არ ჩქარობენ“ ეხებოდა ქ. ტყიბულის ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის საკვების, კერძოდ, თივის დამზადებაში ჩამორჩენას.

ამასთან დაკავშირებით ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ცნობილაძე რედაქციას ატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება. პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტმა და ქალაქის საბჭოს აღმასკომმა განახორციელეს ქმედითი ღონისძიებანი საკვების დამზადების ტემპის დასაჩქარებლად. შექმნილია და ოპერატიულად მოქმედებს საკვების დამზადებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქალაქო შტაბი.

ზონის კოლმეურნეობებსა და საშეფო ორგანიზაციებს საგეგმო 1500 ტონის ნაცვლად დაევალათ დაამზადონ 2 ათასი ტონა თივა, რომელიც განაწილებულია თვეების და დეკადების მიხედვით. აღნიშნული და სხვა ღონისძიებების შედეგად გაძლიერდა თივის დამზადების ტემპი. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით დამზადებულია 329 ტონით მეტი თივა. ყველა პირობაა იმისათვის, რომ სექტემბერში უზრუნველვყოთ 2 ათასი ტონა თივის დამზადება. გადაჭარბებით შესრულდება უხეში საკვებისა და სილოსის დამზადების ვალდებულებები.

სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიაში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის გამგე, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი დ. ო. ლორთქიფანიძე არჩეულია გამოჩენილი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარედ.

ამას ქართველი მეცნიერისადმი მიწერილ წერილში იტყობინება სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ი. კონდაკოვი.

რუსეთში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი მიძღვნილმა დ. ო. ლორთქიფანიძის ნამუშევრებმა სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. მისი მონოგრაფია „კ. დ. უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრება“ გამოცემულია ჩვენი ქვეყნის ხალხთა მრავალ ენაზე და საზღვარგარეთ, აღნიშნულია თბილისის უნივერსიტეტის პრემიით. ქართველი მეცნიერი დაჯილდოებულია კ. დ. უშინსკის სახელობის მედლით, მინიჭებული აქვს გამოჩენილი რუსი პედაგოგის სახელობის პირველი პრემია მონოგრაფიისათვის „იან ამოს კომენსკი“. (საქინფორმი).

●

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამეურნეო ნაწილის გამგე ამხ. გიორგი ივანეს ძე ლომიძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო

დედამიწის ზურგზე

ცხოვრება

11 სექტემბერი

რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად

ქაბული. დღევანდელობის უმთავრესი ამოცანაა აპრილის რევოლუციის მონაპოვართა დაცვა, კონტრრევოლუციის სრული ლიკვიდაცია და ავღანელი ხალხისათვის ცხოვრებისა და შრომის მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფა. ეს განაცხადა აქ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ბაბრაკ ქარმალმა. კადრის ახალგაზრდული მუშაკებისა და აქტივისტების პირველ სრულიად საარმიო თათბირზე გამოსვლისას მან აღნიშნა, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ამოცანის განხორციელების საქმეში ავღანელი ახალგაზრდობა, რომელიც ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგებში დაუცხრომლად იბრძვის იმპერიალიზმის, პეკინელი ჰეგემონისტების, შინაური და გარეშე რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ, ფხიზლად დგას რევოლუციის მონაპოვართა სადარაჯოზე.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი ჩინელი დამქაშების მიერ წაქეზებული დაქირავებული კონტრრევოლუციონერები, თქვა ბ. ქარმალმა, მიმართავენ არა მარტო ძირგამომთხრელ და ტერორისტულ საქმიანობას, არამედ აგრეთვე ცდილობენ იდეოლოგიური დივერსიებისა და სიყალბის გამოყენებით შუღლი ჩამოაგდონ ავღანეთის ტომებსა და ეროვნებებს შორის, ჩირქს სცხებენ ავღანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას. ეს უმაგალითო ინტერნაციონალური მეგობრობა, რომელიც გამოიწრთო ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, ავღანელი ხალხის ფასდაუდებელი მონაპოვარია.

ავღანელი ხალხის დიდ მეგობართან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ლ. ი. ბრეჟნევთან ახლახან გამართული შეხვედრა ამ მეგობრობის ურღვევობის ნათელი გამოვლინება გახდა, თქვა შემდეგ ბ. ქარმალმა. ჩვენ გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა სახელმწიფოს, რომლებიც დიდი გაგებით მოეკიდნენ ჩვენს სიძნელეებსა და პრობლემებს ახალი ცხოვრების მშენებლობის, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის, აპრილის რევოლუციის მონაპოვართა დაცვის საქმეში, ყოველმხრივ გვეხმარებიან რევოლუციის საბოლოო გამარჯვების მიღწევაში. ამ დახმარებას სულითა და გულით გვიწევენ თითოეული საბჭოთა ადამიანი, გმირი საბჭოთა არმიის ჯარისკაცები — პატრიოტები და ინტერნაციონალისტები.

აპრილის რევოლუციის მონაპოვართა დაცვა, განაცხადა ბ. ქარმალმა, ამოცანაა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, თვით ავღანელი ხალხის წინაშეა დასახული. მის შესრულებას ყოველმა ავღანელმა სულ უფრო მეტი ძალ-ღონე უნდა მოახმაროს, და თვით ავღანელი ხალხი ვალდებულია გმირულად დაიცვას თავისი განმათავისუფლებელი რევოლუცია. ეს ჩვენი მამულის მოთხოვნაა. ამასთან დაკავშირებით ბ. ქარმალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობა რევოლუციის დაცვისათვის, ბანდიტების, მძარცველების, პანიკიორების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ავღანეთში ახალი საზოგადოების მშენებლობის საქმისათვის მთლიანად ქვეყნის ახალგაზრდობას ეკისრება.

ჩვენ ოპტიმისტები ვართ და მიგვაჩნია რომ ჩვენი ქვეყნის ხალხს შეუძლია მოიშოროს წარსული ჩაგვრის მძიმე ტვირთი და, თავისი სამშობლოს ნათელ მომავალში დარწმუნებული, იგი მთელ თავის ძალ-ღონეს ახალი ცხოვრების მშენებლობას მიუძღვნის.

ფაქტები ● მოვლენები ● კომენტარი

სოლიდარობის მიტინგი

ადის-აბება. ადის-აბებაში გაიმართა ეთიოპიის რევოლუციის მე-7 წლისთავისადმი მიძღვნილი ეთიოპიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სოლიდარობის მიტინგი.

დამსწრეთა წინაშე გამოსვლისას ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა იუსუფ აჰმედმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეთიოპიის 1974 წლის რევოლუციის შემდეგ ორი ქვეყნის ურთიერთობამ თვისებრივად ახალ საფეხურს მიაღწია. ამ ურთიერთობის მტკიცე საფუძველი გახდა 1978 წელს დადებული ხელშეკრულება მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. ჩვენი მეგობრობა განისაზღვრება ერთნაირი მიზნებით იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ხაზი გაუსვა ორატორმა.

იუსუფ აჰმედმა მაღალი შეფასება მისცა უანგარო ინტერნაციონალისტურ დახმარებას, რომელიც საბჭოთა კავშირმა ეთიოპიას გაუწია გარეშე აგრესიისა და შინაური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რევოლუციური მთავრობის პრინციპული საგარეო-პოლიტიკური კურსისა და ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, აღნიშნა იუსუფ აჰმედმა, ეთიოპია კვლავაც შეეცდება გააფართოოს და გააღრმავოს მეგობრობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან და მთელ პროგრესულ ძალებთან საყოველთაო მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ინტერესებისათვის.

ნამიბიის ხალხს — ნამდვილი დამოუკიდებლობა

ნიუ-იორკი. ვაშინგტონ-პრეტორიის დანაშაულებრივი სამხედრო თანამშრომლობის მუდმივი ზრდა — აი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ წყდება დაძაბულობა აფრიკის კონტინენტის სამხრეთში, გრძელდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აგრესიული მოქმედება აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ, საშველი არ ადგება ნამიბიის პრობლემის გადაწყვეტას. ამ აზრით იყო გამსჭვალული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ნამიბიისადმი მიძღვნილი საგანგებო სპეციალური სესიის დისკუსიის მეტ წილ მონაწილეთა გამოსვლები.

ცნობილია, რაოდენ უმაგალითო გაქანება ჰპოვა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ურთიერთობამ ეკონომიკურ, ფინანსურ, სამხედრო და სხვა დარგებში, განაცხადა მოზამბიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟ. ა. ჩისანომ. არ არის გასაკვირი, რომ ვაშინგტონი და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები ყოველნაირად ცდილობენ ჩაშალონ ნამიბიის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების გზების ძიება, რასაც მსოფლიო გაერთიანება ახორციელებს.

ვაშინგტონ-პრეტორიის სამხედრო ღერძის შემდგომმა განმტკიცებამ შეიძლება აფრიკას კატასტროფული შედეგები მოუტანოს, თქვა ჟ. ა. ჩისანომ. მაგალითად, პრეტორიასა და მის მფარველებს შემუშავებული აქვთ საზარელი გეგმა, ჩამოაშორონ ანგოლას სამხრეთი რაიონები და დაუქვემდებარონ ისინი უნიტას ანტიხალხური ბანდიტური დაჯგუფების კონტროლს.

დასავლეთის სახელმწიფოები ისწრაფვიან შეუნარჩუნონ ახლანდელი სტატუსი ნამიბიას როგორც რასისტული იმპერიალისტური წესწყობილების ნაკრძალს, მრავალეროვანი კორპორაციების ბატონობის ასპარეზს, აგრესიების პლაცდარმს, აღნიშნა სეიშელის კუნძულების საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟ. ოდულმა.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა ს. სუიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვაშინგტონის მიერ გამოცხადებული „ახალი რეგიონული სტრატეგია“ იგივე მიზნებს ისახავს, რომელთა მიღწევაც პრეტორიას სწადია: შეინარჩუნონ ნამიბიაში თეთრკანიანი უმცირესობის პრივილეგიური მდგომარეობა, იზოლაციაში მოაქციონ სვაპო, გაახელისუფლონ მარიონეტები. პოლონეთის დელეგატმა ჟ. ნოვაკმა დაგმო იმპერიალისტები, რომელთაც განზრახული აქვთ ნამიბიის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გვერდის ავლით გადაწყვიტონ, და მოუწოდა დააწესონ სავალდებულო სანქციები რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის აზრით, ხალხთა ეროვნული განთავისუფლების ხელშეწყობის დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანაა უზრუნველყოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა ნამიბიელი ხალხისა, რომლის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელია სვაპო, ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ო. ა. ტროიანოვსკიმ.

სსრ კავშირის პოზიცია ნამიბიის საკითხში, თქვა მან შემდეგ, ნათელი და თანამიმდევრულია. ჩვენ არ ვეძებთ რაიმე განსაკუთრებულ უფლებებსა და პრივილეგიებს, იქნება ეს ნამიბიაში თუ მთლიანად აფრიკაში, ჩვენ იმისთვის ვიღვწით, რომ ნამიბიის მრავალტანჯულმა ხალხმა, ისევე როგორც სხვა ხალხებმა, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიზატორთა და რასისტთა უღელქვეშ იმყოფებიან, დაუყოვნებლივ მოიპოვოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მიეცეს თავისთავადი ეროვნული განვითარების შესაძლებლობა. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ილაპარაკა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აგრესიულობის სათავეებზე და ხაზი გაუსვა იმ ყოველმხრივი — ფინანსური, ეკონომიკური, სამხედრო თუ პოლიტიკურ-დიპლომატიური მხარდაჭერის როლს, რომელსაც პრეტორიას უწევენ შეერთებული შტატები და ნატოს წევრი მთელი რიგი სხვა ქვეყნები. ეს ქვეყნები, თქვა მან, სამხრეთაფრიკელ რასისტებს აძლევენ პრაქტიკულად ყველაფერს — სესხი და კრედიტი იქნება ეს თუ იარაღი და ბირთვული ტექნოლოგია.

●✦●

ირანის ამბები

თეირანი. აქ გაიმართა ირანის დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ირანის პარლამენტის (მეჯლისის) თავმჯდომარე ა. ა. შაჰემი-რაფსანჯანი და ირანის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე აიათოლა ა. მუსავიარდებილი. ამას იუწყება თეირანის რადიო. საბჭოს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მოეწყოს 12-14 სექტემბერს. არჩევნების მოწყობის ვადებზე არაფერი თქმულა.

არჩევნები ეწყობა იმის გამო, რომ 30 აგვისტოს ირანის პრემიერ-მინისტრის კანცელარიის შენობაში მომხდარი აფეთქების დროს დაიღუპა ყოფილი პრეზიდენტი რაჯაი. ირანის კონსტიტუციის მიხედვით, ახალი პრეზიდენტის არჩევნები უნდა გაიმართოს ორმოცდაათ დღეში მას შემდეგ, რაც ამა თუ იმ მიზეზით განთავისუფლდება პრეზიდენტის პოსტი.

როგორც თეირანის რადიო იუწყება, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გრძელდება მთავრობის მოწინააღმდეგე ელემენტების შეტაკებანი პოლიციასა და უშიშროების ორგანოებთან. ირანის დედაქალაქში „ისლამური რევოლუციის გუშაგებთან“ ერთ-ერთი ასეთი შეტაკების დროს რამდენიმე კაცი დაიღუპა და დაახლოებით 40 დაიჭრა. მიმდინარეობს დაპატიმრებანი.

ირან-ერაყის კონფლიქტი

ბეირუთი. გრძელდება საბრძოლო მოქმედება ირანსა და ერაყს შორის. ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ გუშინ ერაყ-ირანის ფრონტზე ბრძოლები მიმდინარეობდა ირანის ქალაქების სარი-პოლეზოხაბის, გილიანი-გარბის, სუსენგერდისა და აბადანის მიდამოებში. ფრონტის სხვადასხვა უბანზე, აღნიშნულია კომუნიკეში, დახოცეს 385 ირანელი სამხედრო მოსამსახურე, გაანადგურეს 5 ტანკი და რამდენიმე სამხედრო მანქანა. ირანის შორსმსროლელმა არტილერიამ ორჯერ დაუშინა ცეცხლი ერაყის ქალაქ ბასრას.

ირანის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ საბრძოლო ოპერაციების დროს ირანის ჯარებმა გაანადგურეს 90-ზე მეტი ერაყელი ჯარისკაცი, ექვსი ტანკი და ტყვია-წამლის ხუთი საწყობი. აბადანის რაიონში დაიწვა მოწინააღმდეგის ნავთობის რეზერვუარი.



მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებში გაიმართა გამოსვლები რეიგანის იმ ანტიჰუმანური გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ შეუდგნენ ნეიტრონული იარაღის სრულმასშტაბიან წარმოებას. მასობრივი მიტინგებისა და მანიფესტაციების მონაწილენი გულისწყრომით გმობენ ამ დანაშაულებრივ აქტს, რომელიც გააძლიერებს ბირთვული ომის გაჩაღების საფრთხეს.

სურათზე: იტალიის ქალაქ მილანში ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს შენობის წინ გამართული მანიფესტაციის მონაწილენი.

საქდესის ტელეფოტო.

ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად

ჰავანა. კუბის დედაქალაქში კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფიდელ კასტროს თავმჯდომარეობით გაიმართა მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობის დაარსების მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზოგადოებრიობის საზეიმო სხდომა.

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კარლოს რაფაელ როდრიგესმა სხდომაზე განაცხადა, რომ მიუმხრობლობის მოძრაობა გადაიქცა ზეგავლენიან ძალად, რომელიც, სოციალისტურ ქვეყნებთან და ომის საწინააღმდეგო მოძრაობასთან ერთად იბრძვის მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობისათვის.

იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი იყო და არის მიუმხრობელი ქვეყნების მთავარი მტერი, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა. ხალხთა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისადმი საფრთხისა თუ მათი ხელყოფის მიღმა ყოველთვის დგანან იმპერიალიზმის ძალები. შეერთებული შტატების მხარდაჭერა და დახმარება საშუალებას აძლევს ისრაელს განახორციელოს დანაშაულებრივი პოლიტიკა არაბული ქვეყნების მიმართ, სწორედ იგი უქმნის შესაძლებლობას რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას განაგრძოს ნამიბიის უკანონო ოკუპაცია და განახორციელოს აგრესიის აქტები ანგოლისა და მოზამბიკის წინააღმდეგ. ლათინურ ამერიკაში ვაშინგტონის პოლიტიკის იმპერიალისტური არსი გამოიხატება რეაქციული რეჟიმებისათვის გაწეული გულუხვი დახმარებითა და კუბის, ნიკარაგუისა და გრენადის მიმართ მტრული მოქმედებით.

შემდეგ ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლათინურ ამერიკასა და კარიბის აუზში ნამდვილად ეროვნული და დემოკრატიული რევოლუციები წარმოუდგენელი იქნებოდა სოციალიზმის, როგორც ისტორიული ძალის არსებობის, აზიის ხალხთა გამარჯვებების, აფრიკის დეკოლონიზაციის გარეშე.

ამჟამად, აღნიშნა კარლოს რაფაელ როდრიგესმა, მსოფლიოში შეიქმნა ახლანდელი ამერიკის ადმინისტრაციის აგრესიული მილიტარისტული კურსით გამოწვეული უაღრესად დაძაბული ვითარება. შეერთებული შტატები დაადგა დაძაბულობის შენელების პროცესის ცალმხრივი შეკვეცის გზას, შეიარაღდა სამხედრო უპირატესობის მიღწევის საშიში სტრატეგიით. მან გამოაცხადა რომ იწყებს ნეიტრონული ბომბის წარმოებას, აპირებს განალაგოს ახალი ბირთვული რაკეტები დასავლეთ ევროპაში, გააძლიერა აგრესიული მოქმედება იმ ქვეყნებისა და ხალხების წინააღმდეგ, რომლებიც ანტიიმპერიალისტურ პოზიციას ადგანან.

მიუმხრობელ ქვეყნებს, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, ეს სიტუაცია მიაჩნიათ „მშვიდობის და დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის ხალხთა ბრძოლის საქმისადმი სერიოზულ საფრთხედ, რომელიც მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ენერგიულ მოქმედებას საჭიროებს.

როგორ გამოიყურება თქვენი ავტომობილი?

ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციის წესები განუხრელად უნდა დავიცვათ

საქართველოს სსრ ადმინისტრაციული ორგანოების საკოორდინაციო საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში ძალზე გახშირდა როგორც სახელმწიფო, ისე ინდივიდუალური სარგებლობის ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევები.

ბევრი მძღოლი, არსებული წესების მიუხედავად, თვითნებურად ცვლის ავტომობილის გარეგნულ სახეს, აყენებს სალონში, საქარე მინაზე და სხვა ადგილებში დამატებითს უსტანდარტო დეტალებსა და ვითომდა დასამშვენებელს, აკრავს პორტრეტებს, ფოტოსურათებს, სარეკლამო ნიშნებს.

ეს ზედმეტობანი, რომლებიც მდარე გემოვნების, სულიერი პროვინციალიზმის გამოხატულებაა, დაღს ასვამს ჩვენი საავტომობილო ტრასების, ქუჩების, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ესთეტიკურ იერსახეს. ამას გარდა, ისინი აუარესებენ და ზღუდავენ ხილვადობას, ხელს უშლიან მძღოლებს მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვაში და ხშირად იწვევენ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს.

ადმინისტრაციული ორგანოების საკოორდინაციო საბჭოს მიაჩნია, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექცია არ ეწევა ჯეროვან მუშაობას საგზაო მოძრაობის მოქმედი წესებით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობისა და აღჭურვის მოთხოვნების ამ ყოვლად უხეში დარღვევების წინააღმდეგ. ავტოსატრანსპორტო მეურნეობების, საუწყებო ტრანსპორტის მქონე ორგანიზაციებისა და საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელები არ იჩენენ მომთხოვნელობას მძღოლთა შემადგენლობისადმი, ურიგდებიან სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის აღნიშნული წესების დარღვევით. საქართველოს ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოება არ ატარებს შესაბამის აღმზრდელობითს და ახსნაგანმარტებითს მუშაობას ავტომობილის მფლობელებს შორის.

იმ მიზნით, რომ უცილობლად დამყარდეს ჯეროვანი წესრიგი ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სარგებლობაში, **საქართველოს სსრ ადმინისტრაციული ორგანოების საკოორდინაციო საბჭომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციას დაავალა 1981 წლის 20 სექტემბრიდან ყველგან შეუდგეს რესპუბლიკის მთელი საავტომობილო პარკის შემოწმებას. გადაწყდა, რომ მსგავსი დარღვევებისათვის განხორციელდება ადმინისტრაციული ზემოქმედების ყველაზე მკაცრი ღონისძიებანი, ხოლო თუ საჭირო გახდა, აიკრძალება სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაცია და მძღოლს ჩამოერთმევა მართვის უფლება.**

საქართველოს სსრ ადმინისტრაციული ორგანოების საკოორდინაციო საბჭო საგზაო მოძრაობის მონაწილეებს, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებს, ავტომანქანების მფლობელებს მოუწოდებს გამოიჩინონ ჯეროვანი შეგნებულობა, და პასუხისმგებლობა, სრულად შეუსაბამონ ავტოსატრანსპორტო საშუალების გარეგნული სახე მისი ექსპლოატაციის დადგენილ ნორმებსა და წესებს.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციული ორგანოების საკოორდინაციო საბჭო.

კანონის მთელი სიმკაცრით

»გასეირნება«

გივი ახალაია ოცდაორი წლის იყო, როცა კაუნასში გაასამართლეს და სამი წლის პატიმრობა მიუსაჯეს. შარშან სასჯელი მოიხადა და ზუგდიდის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ქვეოსტატად დაიწყო მუშაობა და ბეჯითადაც შრომობდა. ერთ ღამეს დათვრა და სახლისაკენ გაუყვა, ლენინის ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლის წინ „ვოლგა“ შენიშნა. ღვინო რას არ ჩაადენინებს კაცს, და მთვრალმა გ. ახალაიამ ჯიბიდან სახრახნისი ამოიღო, გააღო ავტომობილის კარი და მავთულების მოკლე შეერთებით ავტომობილის ძრავა აამუშავა.

ძრავის ამუშავება სახლში კი გაიგო „ვოლგის“ პატრონმა შაქრო ლუბლაძემ, მაგრამ სანამ გარეთ გამოვიდოდა, უკვე გვიან იყო...

შ. ლუბლაძეს ავტომანქანა და მისი გამტაცებელი მილიციაში დააბრუნეს. გ. ახალაიას იმავე მანქანიდან მოესწრო შ. ლუბლაძის კუთვნილი დოკუმენტების ამოღება, რომლებიც ჩხრეკისას ჯიბეში აღმოაჩნდა. ბევრი იცემა თავპირში, ღვინომ გადამაცდინა, კარგ გუნებაზე ვიყავი და მანქანით გასეირნება მომინდაო, მაგრამ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის მეორე ნაწილით პასუხისგებაში მაინც მისცეს.

ქალაქ ზუგდიდის სახალხო სასამართლომ გივი ოპანესის ძე ახალაიას სამი წლის ვადით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ბ. გორელი.

უჩვენებს მცირე თეატრი

ყვავილებით მოჩითული სცენა

ანუ რეპორტაჟი თეატრიდან რამდენიმე ინტერვიუთი

ГОСУДАРСТВЕННЫЙ АКАДЕМИЧЕСКИЙ
ОРДЕНА ЛЕНИНА И ОРДЕНА ОКТЯБРЬСКОЙ РЕВОЛЮЦИИ
МАЛЫЙ ТЕАТР СССР.

ეს სპექტაკლი გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში წარმოადგინეს მოსკოველმა მსახიობებმა. რა თქმა უნდა, სპექტაკლის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე თეატრის წინ უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი და, რასაკვირველია, მსურველები მთლიანად ვერ დაიტია დარბაზმა... მართლაც, მოსკოველთა გასტროლები საქართველოს დედაქალაქში ჭეშმარიტად თეატრალურ დღესასწაულად არის გადაქცეული.

...რამდენიმე წუთიც, და სპექტაკლი დაიწყება. აი დიმიტრი ალექსიძე — საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე. ჩვეული არტისტიზმი უცებ გამოარჩევს სხვებისგან, თანამოსაუბრეს მაცნობს.

ინტერვიუ სპექტაკლ „ნაპირის" დამდგმელ რეჟისორთან, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტთან ვლადიმერ ანდრეევთან:

— იური ბონდარევი, რომლის რომანის მიხედვითაც შეიქმნა ჩვენი სპექტაკლი, ძალზე ძვირფასია ჩემთვის. იგი დიდი მხატვრული სიმართლით საუბრობს გუშინდელზე და ამით ხვალინდელ დღეს წარმოგვიდგენს. ჩვენ ვეცადეთ, რომ მცირე თეატრის წარმოდგენას წითელ ზოლად გაჰყოლოდა ავტორის ჩანაფიქრი — არაფერი დავიწყებული არ არის, არაფერი არ უნდა დავივიწყოთ. ჩვენი სურვილი იყო შეგვექმნა მძაფრად პუბლიცისტური და ამავე დროს ინტელექტუალური სპექტაკლი, რომელშიც ხაზგასმული იქნებოდა თემა ჭეშმარიტი ადამიანური ურთიერთობებისა.

მე თავად მოსკოვის ერმოლოვას სახელობის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი გახლავართ. მცირე თეატრში სპექტაკლის დასადგმელად მიწვევა დიდ პატივად მიმაჩნია და, თუ რა გამოვიდა, სულ მალე ნახავთ, აი, მესამე ზარიც დაირეკა...

ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, მწერალ იური ბონდარევის თითქმის ყველა ნაწარმოები სამამულო ომის თემას ეძღვნება. ბევრ თქვენგანს წაუკითხავს ისინი. ანდა, კინოეპოპეა „განთავისუფლებას" რა დაგავიწყებთ, რომლის ერთ-ერთი სცენარის ავტორი ი. ბონდარევი იყო.

გამოჩენილი რუსი მწერალი იმ თაობას ეკუთვნის, რომლის სიჭაბუკეს ომის ქარცეცხლი დაატყდა. სკოლის დამთავრების შემდეგ მოქმედ არმიაში გაიწვიეს და დიდი ფრონტული გზა ჩეხოსლოვაკიის საზღვართან დაამთავრა. იყო საარტილერიო ბატარეის მეთაური, იბრძოდა სტალინგრადთან, ორჯერ მძიმედ დაიჭრა...

...აქაც — „ნაპირშიც" მოვლენებს 1945 წლის გაზაფხულში გადავყავართ, თუმცა ზოგჯერ მოქმედება ჩვენს დღეებშიც ხდება. ეს არის მრავალპლანიანი, ფილოსოფიური ნაწარმოები, რომანი იმაზე, თუ როგორ დაუცხრომლად უნდა ვეძებოთ იმედის ნაპირი ჩვენი მომავლისათვის, მისი ბედნიერებისათვის.

...ნაწარმოების გმირთა რთული ხასიათები ზედმიწევნით გაცოცხლებულა სცენაზე. შესანიშნავია რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ვ. კორშუნოვი ვადიმ ნიკიტიჩის როლში. ახლა, ი. სოლომინის — კნიაჟკო?

— კნიაჟკო თითქოს ჩემს გვერდით იბრძოდა, რამდენი ასეთი მამაცი მეომარი მივაბარე მიწას ბერლინის მისადგომებთან... — მეუბნება ანტრაქტის დროს პოლკოვნიკი ი. ზუდოვი.

—ჩვენ ვიცით ომის ფასი, — დასძენს მისი მეუღლე, გარდაბნის რუსული საშუალო სკოლის დირექტორი ლ. ზუდოვა, — ეს არის სპექტაკლი — გაფრთხილება, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. ძალზე ანსამბლურია მთელი პირველი მოქმედება. ბრწყინვალედ თამაშობენ ვ. კორშუნოვი, ი. სოლომინი...

●

იური სოლომინი უნდა ვიპოვო. აბა, ვცადოთ, კულისებში შევიხედოთ. აი ისიც...

ინტერვიუ მსახიობთან, რომელიც ახლა ძალზე პოპულარულია

— პოპულარობას კინემატოგრაფს უნდა ვუმადლოდე, — იღიმება ი. სოლომინი, — მაგრამ თეატრს მაინც ვამჯობინებ. მაყურებელთან უშუალო კონტაქტი სულ სხვაა. მსახიობისთვის ერთ რამედ ღირს დარბაზის რეაგირება (რა თქმა უნდა — დადებითი). აი, მაგალითად, მეფე თევდორე ივანეს ძის თამაშის დროს რამდენჯერმე ტაშით „დამაჯილდოვეს" თბილისელებმა. ეს დიდი ბედნიერება იყო. თუმცა საოპერო თეატრის აკუსტიკურ სცენაზე დრამატული მსახიობისათვის ცოტა ძნელია თამაში.

თბილისში მეორედ ვარ. წინათაც, 1964 წელს მცირე თეატრის დასთან ერთად ვიყავი გასტროლებზე, მაშინ გიორგი მდივნის პიესაში „კონსული მოიპარეს" ერთ-ერთი მთავარი როლი მქონდა. გავიდა დრო, 17 წელიწადი, და უკვე 46 წლისა ვესტუმრე თქვენს მშვენიერ დედაქალაქს. ჩემთვის სასიხარულოა ქართველი კოლეგების წარმატებები, თქვენი თეატრის, კინოს მიღწევები. ახლაც ვიგონებ იმ ბედნიერ წუთებს, როცა პირველად „გიორგი სააკაძე" ვნახე, ანდა „გაზაფხული საკენში"... შეიძლება ეს ფილმი გიორგი შავგულიძის უდიდესი სიყვარულის გამოც დამახსომდა. როგორ მღეროდა... (მელოდიას ღიღინებს „საკენშია ერთი ქალი"...).

ბევრი მეგობარი მყავს ქართველი კინემატოგრაფისტების ახალ თაობაში, ამას წინათ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საბჭოთა ფილმების კვირეულის დროს გავიცანი თქვენი ძალზე საინტერესო რეჟისორი ქალი ლანა ღოღობერიძე. ამ გაზაფხულზე თბილისიდან ერთმა დამირეკა, თავის ფილმში მიმიწვია. მე მაშინ, სამწუხაროდ, ძალზე მოუცლელი ვიყავი... და თუ ახლა ზარი განმეორდება, სიამოვნებით დავთანხმდები...

რა თქმა უნდა, გეგმები გაინტერესებთ. ჩემთვის ახლა მთავარი სამუშაოა გოგოლის „რევიზორი", რომელიც მცირე თეატრში უნდა დავდგა რეჟისორ ევგენი ვესტნიკთან ერთად...

●

...დაიხურა ფარდა, დამთავრდა მოსკოველ სცენის ოსტატთა კიდევ ერთი წარმოდგენა. მაყურებელმა ტაში არ დაიშურა დიდი სიამოვნებისთვის, დიდი ხელოვნებისთვის, რამდენჯერმე გამოიძახეს მსახიობები და სცენა მადლიერების კიდევ ერთი დასტურით — თბილისური ყვავილებით მოიჩითა.

ვ. მაღლაკელიძე.

სურათზე: სპექტაკლ „ნაპირის" სცენა. ვადიმ ნიკიტიჩი — რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ვ. კორშუნოვი; კნიაჟკო — რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ი. სოლომინი.

ვ. გენზიურის ფოტო.

ჭადრაკი

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

მძაფრ ცაიტნოტში

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი მატჩის მეორე პარტია მეტისმეტად მძაფრად მიმდინარეობდა. ბრძოლა თავიდანვე გამწვავდა და დაძაბულობა ბოლო მომენტამდე არ დამცხრალა.

შავებით თამაშისას მსოფლიოს ჩემპიონი სისტემატურად ირჩევს ძველინდურ დაცვას, ფრიად პოპულარულ დებიუტს, რომელიც არაერთმა ცნობილმა საბჭოთა თეორეტიკოსმა (ბოლესლავსკი, ბრონშტეინი) დაამუშავა. მას მიეძღვნა საერთაშორისო ოსტატ იუდოვიჩისა და დიდოსტატ გელერის სპეციალური მონოგრაფიები. ძველინდური დაცვის ძირითადი ვარიანტების შეფასება ხშირად იცვლება: ხან თეთრების მხრივ ნახულობენ ახალ ძლიერ გაგრძელებებს, ხან შავებს აღმოუჩენენ ხოლმე მანამდე გამოუყენებელ რესურსებს. ერთი რამ ცხადია: ეს გახლავთ დებიუტი, რომელსაც რთული, ორმხრივი შესაძლებლობებით სავსე პოზიციებისაკენ მივყავართ.

პრეტენდენტმა აირჩია ვარიანტი, რომელიც 50-იან წლებში გამოიყენა დიდოსტატმა ავერბახმა. მსოფლიო ჩემპიონმა მიმართა გეგმას, რომლის დროსაც შავები თმობენ ცენტრალურ პაიკს და სამაგიეროდ სწრაფად ავითარებენ ფიგურებს. ორივე მეტოქე შესანიშნავად იცნობდა დებიუტის შემდეგ შექმნილ პოზიციას. ერთხანს პარტია დაემთხვა კობაიძე-ჩიბურდანიძის შეხვედრას 1979 წელს თბილისში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე. მე-17 სვლაზე ჩიბურდანიძეს შეცდომა მოუვიდა. მას შეწირული პაიკი უნდა დაებრუნებინა მხედრით, რის შემდეგ სავსებით ათანაბრებდა პოზიციას. კუთი პაიკის დაბრუნებას შავებისათვის არასასურველი შედეგები მოჰყვა. მართალია, დაფაზე მატერიალური წონასწორობა აღდგა, მაგრამ თეთრებმა დიდი პოზიციური უპირატესობა მიიღეს. აქ იმასაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ მსოფლიო ჩემპიონი ძლიერი ცაიტნოტის საფრთხის წინაშე დადგა, თეთრები კი პარტიის პირველ ნახევარში საერთოდ ცოტას ფიქრობდნენ.

პარტიის დასკვნითი ნაწილი პრეტენდენტის უპირატესობით მიმდინარეობდა. მისი ეტლი მეტოქის განლაგებაში შეიჭრა, მხედარი ასევე შავების ბანაკში მოქმედებდა, ძლიერი თეთრუჯროვანი კუ კონტროლს უწევდა მნიშვნელოვან ცენტრალურ უჯრებს და საიერიშო ფუნქციებს ასრულებდა. ჩიბურდანიძის მხედარი კიდურა უჯრაზე „თამაშგარე მდგომარეობაში" აღმოჩნდა, რაც ჩემპიონს დიდ პრობლემებს უქმნიდა. ალექსანდრია მატერიალურ შეწირვებსაც იმუქრებოდა, ასე, რომ ჩიბურდანიძეს მთელი თავისი ოსტატობის გამოვლინება დასჭირდა, რათა დიდი მატერიალური ზარალი არ ენახა. ასეთ პოზიციაში მსოფლიო ჩემპიონი მისთვის დამახასიათებელი დიდი შეუპოვრობით თამაშობდა.

დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. ალექსანდრიამ, რომელსაც დროის დიდი მარაგი ჰქონდა, ბევრი იფიქრა და დასკვნით სვლებს მეტოქეები უკვე ორმხრივ ცაიტნოტში აკეთებდნენ. უაღრესად მწვავე პოზიციაში პრეტენდენტი დიდხანს ზუსტად თამაშობდა. მან მოიგო ორი პაიკი, ეტლით და ორი მსუბუქი ფიგურით შავ მეფეს დიდ ხიფათს უქმნიდა.

უკანასკნელი მეორმოცე საკონტროლო სვლით, ექსპერტების საერთო აზრით, ალექსანდრიას მძიმე შეცდომა მოუვიდა. მან დროის სიმცირის პირობებში ვერ შეამჩნია მსოფლიო ჩემპიონის მეტად ძლიერი მანევრი, რის შემდეგ მატერიალური ზარალის მიუხედავად შავებს უკვე აღარაფერი ემუქრებათ. მდგომარეობა ერთბაშად გათანაბრდა.

პარტია გადაიდო. მართალია, ჩიბურდანიძეს ისევ აკლია ორი პაიკი, მაგრამ მისი ფიგურები ფრიად აქტიურად არიან განლაგებული.

მეორე პარტია

ალექსანდრია-ჩიბურდანიძე

ძველინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. კe2 0—0 6. კg5 c5 7. d5 h6 8. კf4 e6 9. de კ:e6 10. კ:d6 ეe8 11. მf3 ლb6 12. e5 მfd7 13. მb5 მa6 14. 0—0 ეad8 15. ლc1 კg4 16. ეe1 კ:f3 17. კ:f3 კ:e5 18. ეd1 მf6 19. კ:e5 ე:d1 20. ლ:d1 ე:e5 21. ლ ლ:d6 22. მ:d6 b6 23. a ეe7 24. ეd1 მფg7 25. მc8 ეc7 26. ეd8 h5 27. h4 მg4 28. g3 მe5 29. კd5 მფf6 30. b3 მფg7 31. მფg2 მფf6 32. მფg1 მფg7 33. f4 მg4 34. მd6 ეe7 35. კ:f7 ეe1+ 36. მფg2 ეe2+ 37. მფf1 ეb2 38. ეg8+ მფh7 39. ე:g6 მc7 40. ეg5 მh2+. პარტია გადაიდო. თეთრებმა ჩაიწერეს 41-ე სვლა.

გ. გამრეკელი.

კვლავ ყაიმი

გუშინ მაია ჩიბურდანიძე და ნანა ალექსანდრია თამაშის განუახლებლად შეთანხმდნენ ყაიმზე ორი ტურის შემდეგ ანგარიშია 1:1. რეგლამენტით მესამე პარტია დღე უნდა გაიმართოს. ამჯერად თეთრ ფიგურებით მაია ჩიბურდანიძე ითამაშებს.

საქართველოს პირველობაზე

საქართველოს მოჭადრაკეთა პირველობის (უმაღლესი ლიგა) მეექვსე ტურში სტურუამ, რომელიც დიდი ალმავლობით თამაშობს, დაამარცხა ვოსკანიანი. პაატა გაფრინდაშვილი ტურნირის აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს. მისი ინიციატივიანი, შინაარსიანი თამაში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამჯერად მან ხეცურიანი დაამარცხა. თორიამ სძლია დ. გურგენიძეს, ნეიროხოვმა — მაქაძეს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. 6 ტურის შემდეგ ჩინებული შედეგით — 5,5 ქულით წინ არის ოსტატი სტურუა. 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს პ. გაფრინდაშვილს.

უკრაინაში გამოიცა

მეგობრობის მზის ქვეშ

ПІД СОНЦЕМ ЖОВТНЯ

გასულ წელს კიევში უკრაინულ ენაზე გამოქვეყნდა კულტურის ისტორიის ქართველ მკვლევართა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ დავით ჩხიკვიშვილისა და დოცენტ ზაურ ბაბუნაშვილის ერთობლივი ნაშრომი: „ოქტომბრის მზის ქვეშ. საქართველოს სსრ სოციალისტური კულტურის განვითარების ნარკვევი". წიგნი გამოსცა უკრაინის სსრ მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ „დნიპრომ" და წარმოადგენს მორიგ ნაშრომს სერიიდან: „ძმურ კულტურათა თანავარსკვლავედში", რომელსაც ასე წარმატებით ახორციელებს აღნიშნული გამომცემლობა.

ერთი თვალის გადავლებაც კი დაარწმუნებს მკითხველს, რომ წიგნის ავტორებს კვალიფიციურად და წარმატებით გადაუწყვეტიათ დასახული ამოცანა. მდიდარი ფაქტობრივი მასალებისა და ღრმა თეორიული გააზრების ბაზაზე აქ წარმოდგენილია ქართული სოციალისტური კულტურის ჩამოყალიბების, განვითარებისა და სადღეისო მიღწევების სწორი მეცნიერული სურათი.

სარეცენზიო ნაშრომი ხუთი თავისაგან შედგება. შესავალში ზოგადად არის დახასიათებული ის გარდაქმნები, რომლებიც საქართველოში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ხაზგასმულია ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის, მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გადამწყვეტი მნიშვნელობა ეროვნული კულტურული აღმშენებლობის წარმატებისათვის.

„ისტორიის ფურცლები" — ასე ეწოდება წიგნის პირველ თავს, სადაც მოკლედ, მაგრამ საკმაოდ სრულად მიმოხილულია ქართული კულტურის განვითარება რევოლუციამდელ ხანაში.

წიგნის მეორე თავში („დიდება ახალ საქართველოს") მოთხრობილია ქართული სოციალისტური კულტურის მშენებლობაზე ომამდელი ხუთწლედების მანძილზე. ამას თან ახლავს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მოკლე მიმოხილვა. აქაც ყურადღება გამახვილებულია საბჭოთა ხალხების ძმურ თანამშრომლობაზე, საგანგებოდ არის აღნიშნული ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებები საბჭოთა სოციალისტური კულტურის შექმნა-განვითარებისათვის.

აქვე საუბარია ქართველი მწერლების ურთიერთობაზე მაქსიმ გორკისთან, ნიკოლოზ ტიხონოვთან, პავლო ტიჩინასთან, მიკოლა ბაჟანთან და საბჭოთა ხალხების კულტურის მოღვაწეებთან.

ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება დიდი სამამულო ომის წლებს. იგი დასათაურებულია დიდი გალაკტიონის სიტყვებით: „შენი დროშის ფერს დავიცავთ!"... სათაური შესანიშნავად გამოხატავს ამ თავის შინაარსს.

დიდი სამამულო ომის შემდეგ ქართული სოციალისტური კულტურის შემდგომი წინსვლისათვის ფართო ჰორიზონტები გადაიშალა. „ფართო ჰორიზონტები" — ასე ეწოდება დ. ჩხიკვიშვილისა და ზ. ბაბუნაშვილის წიგნის მომდევნო თავს. მოკლე ეკონომიკური ისტორიის შემდეგ აქ დახასიათებულია ქართული სოციალისტური კულტურის შემდგომი წინსვლა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების პერიოდში. კიდევ უფრო მრავალფეროვანი და შინაარსიანი გახდა ქართველ მეცნიერთა, განათლების მუშაკთა, მწერალთა და ხელოვანთა მუშაობა, იმათა წარმატებებმა, ჯილდოებმა, ქართული კულტურის მონაპოვართა პოპულარობამ. ქართული კულტურის მეორე დეკადამ 1958 წელს დიდი წარმატებით ჩაიარა და დაადასტურა რესპუბლიკის მიღწევები ეროვნული კულტურის განვითარების დარგში.

წიგნის ბოლო თავში — „კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა" — განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კულტურაა წარმოდგენილი. ავტორები ჯერ მოკლედ მიმოიხილავენ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურ განვითარებას ამ პერიოდში და მასთან კავშირით ახასიათებენ ქართული სოციალისტური კულტურის ყოველმხრივ გაფურჩქვნას განვითარებული სოციალიზმის პირობებში. სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებები განათლების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების შემდგომი განვითარების საკითხებზე უდიდეს როლს ასრულებს სოციალისტური კულტურის აყვავების საქმეში. განსაკუთრებით ხაზგასმულია, თუ რა განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ეკონომიკური, პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ცხოვრების გარდაქმნისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებას—„საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად". ნეგატიური მოვლენებისა და წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ შეურიგებელმა ბრძოლამ, რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლამ, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ეწევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით, დიდად შეუწყო ხელი ქართული სოციალისტური კულტურის წარმატებებს უკანასკნელ პერიოდში.

ავტორები არ ღალატობენ კარგ ტრადიციას და ნაშრომის დამამთავრებელ გვერდებზე ვრცლად ეხებიან ჩვენი ხალხის კულტურულ კავშირურთიერთობას საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან და პირველ რიგში რუს და უკრაინელ ხალხებთან. ისინი იმოწმებენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 50-ე წლისთავის საზეიმო დღეებში ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვას: „საქართველოს თანამედროვე სახე იმ ურღვევი სამეურნეო, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული ურთიერთობის შედეგია, რომელიც საქართველოს ორგანულად აკავშირებს ჩვენი სამშობლოს სხვა მოძმე რესპუბლიკებთან და ხალხებთან.

ასეთია სოციალისტური სინამდვილე: ყველა მუშაობს თითოეულისათვის და თითოეული მუშაობს ყველასათვის, ასეთია სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების რეალური. ყველასათვის საგრძნობი შედეგი".

სარეცენზიო წიგნი კიდევ ერთი დადასტურებაა იმ დიდი მეგობრობისა, რომელიც ქართველ და უკრაინელ ხალხებს აკავშირებს კომუნიზმის მშენებლობის ნათელ გზაზე.

შოთა ხანთაძე,
პროფესორი.

ეს ხომ უძველესი ქვეყნის ისტორიაა

მოსკოვი ეცნობა ქართულ არქეოლოგიურ ძეგლებს

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის პავილიონში გახსნილია გამოფენა „არქეოლოგიური გამოკვლევები საქართველოს სსრ ტერიტორიის ახალმშენებლობებზე".

ექსპოზიციამ ბევრი მოსკოველი და ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მრავალრიცხოვანი სტუმარი მიიზიდა. გამოფენა გვაცნობს მნიშვნელოვან არქეოლოგიურ სიახლეებს, მოყოლებული ქვის ხანიდან — ადამიანის საზოგადოების განვითარების საწყისი ეტაპიდან, გრანდიოზული ყორღანების მშენებლობამდე, რომლებიც III-II ათასწლეულს განეკუთვნება ჩვენს ერამდე. აქვეა ჩვენს ერამდე II-I ათასწლეულის სამარხები, ანტიკური ეპოქის ურბანისტული ცენტრების და ოქროს საწმისის ლეგენდარული სამშობლოს — ძველი კოლხეთის — სამარხების ფასდაუდებელი საგანძურები.

გამოფენა იხსნება საქართველოს სსრ გეოგრაფიული რუკით, რომელიც მთელს კედელზეა გადაჭიმული, მასზე პუნქტირებით არის აღნიშნული ის ადგილები, სადაც დღეს არქეოლოგიური გამოკვლევები მიმდინარეობს.

შთამბეჭდავია სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვის ხანის ნახატები, გამოქვაბულის დათვის თავის ქალა, რომელიც 30 ათას წელს ითვლის. საინტერესოა არახლოს დასახლების სარწყავი სისტემა, ისრები, იარაღი ობსიდიანიდან, თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოში გაცოცხლებული მხედრის ქანდაკება... დიდხანს ჩერდებიან მნახველნი კახეთის დიდ ყორღანებთან, ალაზნის ველის დიდ სურებთან, ანაგის და ბაკურციხის არქეოლოგიური გათხრების ოქროს ნივთებთან. ყურადღების ცენტრშია თბილისის ახალმშენებლობების დროს აღმოჩენილი ექსპონატები — იარაღი, ისრები, სამხედრო აღჭურვილობა და სამკაულები, ძვლის ნაკეთობანი, მოზაიკის მძივები. აქვეა ძველი კოლხეთის ოქროს ნაკეთობანი, ვანის გათხრების კერამიკა, თიხის ჭურჭელი, კალისგან დამზადებული ფიგურები, შუშის ნაწარმი, ჟინვალში აღმოჩენილი თასი, რკინის დანა ვაზის შესაჭრელად, ჭრელი კერამიკა, მძივები ერგეთის სამარხიდან, ბრინჯაოს ნაჯახი...

მშვენიერია ჩვენი უძველესი არქიტექტურული ძეგლების საგულდაგულოდ შერჩეული ფოტოები. მათზე ასახულ ძეგლებში იგრძნობა საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული ეროვნული სული, მხატვრული სიმდიდრე და განუმეორებელი კოლორიტი.

შთაბეჭდილებათა წიგნის მრავალი ჩანაწერიდან რამდენიმე შევარჩიეთ გაზეთ „კომუნისტის" მკითხველთათვის, რათა მათ უკეთ ეგრძნოთ მოსკოველთა და ჩვენი დედაქალაქის სტუმართა აზრი და განწყობილება, რაც სასიამოვნო დადასტურებაა იმ დიდი ინტერესისა და წარმატებისა, რომელიც წილად ხვდა საქართველოს არქეოლოგიური გამოკვლევების ამსახველ გამოფენას.

„ძალიან საინტერესოა მიეახლო და შეიგრძნო საქართველოს უკანასკნელი არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი შედევრები. ეს ხომ უძველესი და მშვენიერი ქვეყნის ისტორიაა! ჩემდა საბედნიეროდ, უკვე რამდენიმე წელია ვმონაწილეობ იმ არქეოლოგიურ ექსპედიციებში, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ეწყობა. სავსე ვარ შთაბეჭდილებებით, გმადლობთ! ი. შკრობი, ისტორიკოსი, ქ. მოსკოვი".

„ჩემს თვალწინ წარმტაცი ფერებით გაიქროლა საქართველოს დიდებულმა წარსულმა. ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი ისტორია აქვს. უმარაშანი, ინდოეთი".

„ძალიან საინტერესო ექსპოზიციაა, დიდ მადლობას მოგახსენებთ, ძვირფასო მეგობრებო. ტურისტთა ჯგუფი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან".

„გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები, ყველაფერი, რასაც ვხედავთ, შესანიშნავი ქართველი მეცნიერების დამსახურებაა. ეს საგანძური მკაფიოდ მიგვანიშნებს ქართველი ხალხის უძველესსა და თვითმყოფად კულტურაზე.

გამოფენა ნათელი დადასტურებაა საქართველოს მატერიალური კულტურის უმდიდრესი და ორიგინალური ძეგლების სიმდიდრისა, დაწყებული ქვის ხანიდან, ვიდრე შუა საუკუნეებამდე. ყოველი ექსპონატის ნახვისას იგრძნობა ის ფართო მასშტაბები და მეტად მაღალი მეცნიერული დონე, რითაც ხასიათდება არქეოლოგიური გამოკვლევები და ძიებანი საქართველოს მთებში და მინდვრებში.

ქართველი არქეოლოგების შრომები, რომლებიც ასე ტევადად არის აქ წარმოდგენილი, თავისი აქტუალურობით და მნიშვნელობით დიდი ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და ფართო აღიარება პოვა საზღვარგარეთის ქვეყნებშიც.

მინდა აღვნიშნო, რომ გამოფენა, ასეთი რუდუნებით მომზადებული ჩემი ქართველი კოლეგების მიერ, ხაზს უსვამს დიდ დამსახურებას და წვლილს, რომელიც შეიტანა საქართველომ მსოფლიო კულტურის საგანძურში.

ეჭვი არ მეპარება, რომ გამოფენას თან სდევს დიდი და დამსახურებული გამარჯვება.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რ. მუნჩაევი..."

დ. მაჭავარიანი.
„კომუნისტის" საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

ისინი მგოსნებმა დაამეგობრეს

ამ რამდენიმე წლის წინათ საქმიანი ურთიერთობა დამყარდა საჩხერის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმსა და კანევის ტარას შევჩენკოს მუზეუმ-ნაკრძალს შორის, რათა მუზეუმთა საექსპოზიციო დარბაზებში სათანადო ადგილი დათმობოდა უკრაინელი და ქართველი ხალხების ამ დიდ შვილთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ექსპონატებს.

კანეველებმა აკაკის მუზეუმს პოეტის დაბადების 140-ე წლისთავის საიუბილეო ზეიმზე საჩუქრად ჩამოუტანეს ბანდური, როგორც უკრაინული პოეზიის სიმბოლო, აგრეთვე ტ. შევჩენკოს ნაწარმოებთა უნიკალური გამოცემები. საჩხერელებმა კი ტ. შევჩენკოს მუზეუმ-ნაკრძალს გადასცეს ჩონგური, როგორც ქართული პოეზიის სიმბოლო, და შესანიშნავი გამოცემა „საბჭოთა საქართველო".

ორი მუზეუმის ურთიერთობამ დაამეგობრა აკაკი წერეთლისა და ტარას შევჩენკოს მშობლიური კუთხეები — საჩხერე და კანევი. კანეველები ყოველ წელს ჩამოდიან საჩხერეში აკაკის დღის — პოეზიისა და შრომის დღესასწაულზე, ეცნობიან რაიონის მშრომელთა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას, რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს. საჩხერელებიც ასევე მონაწილეობენ ხოლმე ტარას შევჩენკოს საიუბილეო დღეებში...

წელს ზაფხულში საჩხერელთა დელეგაცია კვლავ ეწვია კანევს. ამჯერად დელეგაციის მიზანი იყო საჩხერეში ჩამოეტანათ ტარას შევჩენკოს გრანიტის ბიუსტი (მოქანდაკე კ. დიდენკოს ნამუშევარი), რომელიც უკრაინელმა მეგობრებმა საჩუქრად გადმოსცეს აკაკის სამშობლოს. ბიუსტის საზეიმო გადმოცემის ცერემონიალი გააშუქა ადგილობრივმა პრესამ.

შევჩენკოს ბიუსტის ქართულ მიწაზე ჩამოტანა წილად ხვდა საჩხერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს შ. აბრამიშვილს, რომელიც დიდი სამამულო ომის პერიოდში სწორედ უკრაინის მიწაზე იბრძოდა გერმანელ ფაშისტებს, მონაწილეობდა დნეპრის გადალახვაში და ორჯერ იყო დაჭრილი მტრის ტყვიით.

წლის ბოლოს კანეველი და საჩხერელი მშრომელები გააფორმებენ ურთიერთ შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას და ამით კიდევ ერთი ახალი ფურცელი ჩაიწერება ქართველი და უკრაინელი ხალხების ლენინური მეგობრობის დიად მატიანეში.

ო. ცარციძე,
გაზეთ „ახალი ცხოვრების" რედაქტორი.
საჩხერე.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

✦ ✦

თერჯოლა

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი



ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები

ამ თემას ეძღვნება ფოტოგამოფენა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეის თერჯოლის ფილიალში გაიხსნა.

სოფლის მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან ეროვნულ ხუროთმოძღვრების უძველეს კომპლექსებს, რომელთა აღდგენა-რესტავრაციისათვის დიდი ღვაწლი გაუწევიათ არქიტექტორებს ვ. ცინცაძეს, ო. თორთლაძეს, ი. ვარსიმაშვილს, ო. ნემსაძეს, ლ. რჩეულიშვილს და გ. ჭეიშვილს.

ამ საინტერესო გამოფენის მოწყობის ინიციატორები არიან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი და სახელმწიფო სურათების გალერეა.

პატარების მოლოდინში

დაბა თერჯოლაში დამთავრდა რიგით მესამე, 140-ადგილიანი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა. წლის ბოლომდე ტიპობრივი პროექტებით აგებულ ახალ შენობებში გაიხსნება ბაგა-ბაღები ალისუბანში, საზანოში, ბარდუბანში და კვახჭირში.

ნატიფი ნახელავი

გამოსაწვავი ქურიდან ნელ-ნელა გამომავალ მავთულით დაწნულ ლენტზე თვალისმომჭრელად ბრწყინავს ბროლის საყვავილე და სახილე ლარნაკები, საკამფეტეები, ღვინის ჭიქები, სამარილეები...

თერჯოლის საშენ მასალათა და სამეურნეო საქონლის კომბინატი 11 ასორტიმენტის ბროლის ნაკეთობას უშვებს, რომელთაგან ოთხი შეტანილია სსრ კავშირის მთავარბროლის კატალოგებში, ხოლო ორი სახის საყვავილე ვაზას მიკუთვნებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

თერჯოლური ბროლის ოსტატები წლიურად 850 ათასი მანეთის ძვირფას ჭურჭელს აწვდიან მომხმარებელს.

საბაგირო გზა

დაიწყო და მიმდინარეობს დაბა თერჯოლისა და პიონერთა ქალაქის „სკოვნელას" დამაკავშირებელი სამგზავრო საბაგირო გზის მშენებლობა.

ახალი საჰაერო მარშრუტი პატარებისთვის ძვირფასი საჩუქარი იქნება.

საერთაშორისო ბაზარზე

თერჯოლის საკონსერვო ქარხანამ თავისი მეხუთე სეზონი დაიწყო. პირველად ორი სახის პროდუქციას უშვებდნენ, ახლა კი მის ასორტიმენტშია 24 დასახელება, რომელთაგან ოთხ ნაწარმს — მანდარინისა და მსხლის მურაბებს, ტყემლის კომპოტს და პამიდორის წვენს მიკუთვნებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

დიდებული პერსპექტივები აქვს ქარხანას. წელს აქ დამზადდება 2.000 ტონა ხილის შემაგრებული ღვინო. გათვალისწინებულია აგრეთვე აქვე მოეწყოს ქართული უნიკალური ღვინოების ოცხანურის, ოჯალეშის, კრახუნას, ხვანჭკარას, პინოს და იზაბელას ჩამოსხმა.

წელს ქარხნის პროდუქცია საერთაშორისო ბაზარზე გავიდა. ტომატის პასტის პირველი პარტია გაიგზავნა ფინეთში.

ო. ნიქაბაძე.

✦

სურათებზე: თერჯოლის საშენ მასალათა და სამეურნეო საქონლის კომბინატის ბროლის საამქროს ნახევარფაბრიკატის დამხარისხებელი მ. ზაქარაშვილი, რომლის საწარმოო მაჩვენებელი 110 პროცენტს აღემატება; ხარისხნიშნიანი ვაზა.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო.

ფეხბურთის ამბები

ისინი—ჩვენზე, ჩვენ—მათზე

ავსტრიის პრესა კვლავინდებურად დიდ ადგილს უთმობს თბილისის „დინამოს" მომავალ შეხვედრებს „გრაცერ აკთან". ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „ფოლქსშტიმეს" ერთ-ერთ ბოლო ნომერში საუბარია იმ უმძიმეს „გასვლითს სერიაზე", რომელიც თბილისის დინამოელებს ივლის-აგვისტოში ჰქონდათ. ამ გაზეთის მიმომხილველი სტუმრად ნათამაშევ 8 მატჩში მოპოვებულ 10 ქულას კარგ შედეგად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ როსტოვის არმიელებთან შინ დამაჯერებელი გამარჯვებით (3:0) დინამოელებმა დაამტკიცეს, რომ ისინი შესანიშნავ ფორმაში არიან.

„... თბილისის „დინამოსა" და მის ლიდერებს — ყიფიანს და შენგელიას კარგად იცნობენ ჩვენი ფეხბურთის გულშემატკივრები", წერს გაზეთი. „თბილისელები თასების მფლობელთა თასის მოგების შემდეგ სულაც არ დასუსტებულან — ისინი ეროვნულ პირველობაშიც ამტკიცებენ თავიანთ განსაკუთრებულ კლასს. თანდათან სულ უფრო და უფრო შედის ფორმაში მათი ბომბარდირი შენგელია — ახლა იგი იშვიათად თუ დატოვებს მინდორს უგოლოდ.

დაცვას ნაკრების ცენტრალური მცველი ალექსანდრე ჩივაძე აწესრიგებს, ნახევარდაცვაში დავით ყიფიანი „დირიჟორობს" („ფოლქსშტიმეს" კორესპონდენტს, ეტყობა, მადრიდიდან ცნობა დაუგვიანდა. — დ. კ.), ხოლო შენგელიას ისარივით სწრაფი და უაღრესად ტექნიკური გარემარბის ვლადიმერ გუცაევის სახით იდეალური პარტნიორი ჰყავს.— ყოველივე ეს ნათელს ხდის, „დინამო" „გრაცერ აკზე" რამდენიმე თავით მაღლა დგას. ამიტომ ყველა სხვა შედეგი, გარდა ქართველების მომდევნო წრეში გასვლისა, უზარმაზარი სენსაცია იქნება".

აი, ასე ახასიათებენ ჩვენი ფეხბურთელების თამაშს ავსტრიელი ჟურნალისტები. ჩვენი მხრივ გვინდა რამდენიმე ცნობა მივაწოდოთ ქართველ გულშემატკივრებს საბჭოთა ფეხბურთელების მომავალ მეტოქეებზე.

ავსტრიის პირველობის მორიგ მე-4 ტურში „გრაცერ აკმა" უმასპინძლა ლინცის „ლინცეს ასკ" ანგარიშში 43-ე წუთზე გახსნა გრაცელმა პიგელმა, ხოლო 54- წუთზე რიდლმა კარგად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. 2:0 — ასე გაიმარჯვეს მასპინძლებმა და ვენის „ადმირა-ვაკერთან" ერთად სათავეში ჩაუდგნენ გათამაშების ცხრილს. ლიდერებმა 6-6 ქულა დააგროვე მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით („ადმირა-ვაკერი 10:7, „გრაცერ აკი" 8:6) პირველ ადგილზე ვენელები არიან. 5 ქულით მესამე ადგილზეა ვენ „აუსტრია". ცსკას მეტოქემ გრაცის „შტურმმა" ლინცში წა გო ადგილობრივ ვოესტთა (0:4) და 4 ქულით მეშვიდე ადგილზეა.

ჩვენი მკითხველისათვის ალ ათ საინტერესო იქნება, თუ ვ ანგარიშზე მოდის ის რვა გოლ რომლებიც „დინამოს" მეტო გრაცელებმა ეროვნული ჩემპ ონატის პირველ ოთხ ტურ გაიტანეს: 4 ბრუთი შეაგდ რიდლმა, 2 — გიოსლმა, თით გოლი გაიტანეს ვაისმა და პ გელმა.

დ. კაკაბაძე

უმაღლესი ლიგა

დღეს გაიმართება უმაღლ ლიგის ფეხბურთელთა გუნდებ საკავშირო ჩემპიონატის ოცდ ეათე ტურის შვიდი მატჩი. „ფ თაქორი" მიიღებს მოსკოვის „დ ნამოს", ასკ — „ზენიტს", „ნე თჩი" — მინსკის „დინამო „დნეპრი" — „არარატს", კიე „დინამო" — „ყუბანს", „ჩერნ მორეცი" — „ტავრიას", **შახტიო რი" — თბილისის „დინამოს".**

შერჩევითი მატჩები

მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩების შედეგები ასეთია:

ჰოლანდია-ირლანდია — 2:2, ბელგია-საფრანგეთი — 2:0 (ევროპის მეორე ჯგუფი). ლიდერობენ ბელგიელები — 11 ქულა (14 შესაძლებლიდან). მომდევნო ადგილებზე გუნდები ასე არიან განლაგებული: ირლანდია—8 (14-დან), ჰოლანდია — 7 (12-დან), საფრანგეთი — 6 (10-დან), კვიპროსი — 0 (14-დან).

ევროპის მეხუთე ჯგუფში დანიელებმა უმასპინძლეს იუგოსლავებს. სტუმრებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: იუგოსლავია — 8 ქულა (10-დან), იტალია — 8 (10-დან), დანია — 6 (14-დან), საბერძნეთი — 6 (10-დან), ლუქსემბურგი — 0 (12-დან).

გლაზგოში შოტლანდიელებმა (ევროპის მეექვსე ჯგუფი) იღეს შვედები და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. შოტლანდიელებმა 12 შესაძლებლიდან 10 ქულა აგროვეს და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გასვლაც უზრუნველყოფილი აქვთ. მომდევნო ადგილებზე არიან ჩრდილოეთირლანდიელები — 6 ქულა (12-დან), შვედები — 6 (14-დან), პორტ გალიელები — 5 (10-დან) და ისრაელები — 3 (12-დან).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434   უე 14610   საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.